№14 (7049) 31 ივლისი,
პარასკევი, 2015 წელი.
ფასი 70 თეთრი.

ხობის მუნიციპალიტეტის გაზეთი

„თქვენი წარმატება და თქვენი სულისკვეთება ჩვენი შთაგონების წყაროა“

პრემიერ-მინისტრმა „თბილისი 2015“-ის დახურვის ცერემონიაში მიიღო მონაწილეობა

საქართველოსთვის საპატიოა ოლიმპიური ფესტივალის მასპინძლობა და წვლილის შეტანა ადამიანებსა და ქვეყნებს შორის მეგობრობის განმტკიცებაში, რაც ოლიმპიური ტრადიციების ქვაკუთხედია,–ამ სიტყვებით მიმართა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის საზეიმო დახურვის ცერემონიის მონაწილეებს.

მთავრობის მეთაურმა მადლობა გადაუხადა ყველას, ვინც წვლილი შეიტანა „თბილისი 2015“ -ის წარმატებით ჩატარებაში – სპორტსმენებს, მწვრთნელებს, ოლიმპიური ფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტის წევრებს, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს, თბილისის მერიას და „ჰუალინგ ჯგუფს“, რომელმაც ოლიმპიური სოფელი ააშენა.

„ჩემთვის ძვირფასია ამ ღონისძიების თითოეული წამი. ამ კვირის განმავლობაში მე გავხდი საქმისადმი განსაკუთრებული ერთგულებისა და ოსტატობის, პროფესიონალიზმის, გამბედაობისა და გამძლეობის, გუნდური მუშაობისა და სამართლიანი შეჯიბრის მოწმე. ვიცი, რომ გამოვხატავ იმ გრძნობებს, რომლებიც აერთიანებს ათი ათასობით მაყურებელს თბილისსა და მთელს მსოფლიოში, როცა ვამბობ, რომ გული უსაზღვრო სიამაყით მევსება, როდესაც ჩვენს ახალგაზრდა სპორტსმენებს ვუყურებ. თქვენი წარმატება და თქვენი სულისკვეთება ჩვენი შთაგონების წყაროა. მინდა, ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა ვუთხრა მათ, ვისი წყალობითაც ეს არაჩვეულებრივი ღონისძიება რეალობად იქცა“, –განაცხადა პრემიერმა და აღნიშნა, რომ ქართველი ხალხისთვის ეს გამოცდილება ევროინტეგრაციის გზაზე კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ეტაპია.

3

ხობელი მოსწავლეები ბაქსვუდის სკოლაში გაემგზავრნენ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო 2015 წელს „საზაფხულო სკოლების“ პროგრამის ფარგლებში ახორციელებს ორ აქტივობას: „ინგლისური ენის საზაფხულო სკოლა საქართველოში“ და „ინგლისური ენის საზაფხულო სკოლა დიდ ბრიტანეთში“.

ინგლისური ენის საზაფხულო სკოლა ტარდება წყნეთში, ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლის ბაზაზე.

მესამე ნაკადი ჩატარდება 2 აგვისტოდან 22 აგვისტოს ჩათვლით, სადაც მონაწილეობის მისაღებად გაემგზავრა ვაჟა ფშაველას კონკურსში გამარჯვებული სსიპ ქალაქ ხობის №1 საჯარო სკოლის 16 მოსწავლე. ამ მოსწავლეებისათვის განხორციელდება სამკვირიანი ინტენსიური (არანაკლებ 20 საათი კვირაში) ინგლისური ენის საზაფხულო კურსი. საზაფხულო სკოლაში, მოსწავლეებს ცოდნის დონის დასადგენად პირველივე დღეს ჩაუტარდებათ [პრე] ტესტი ინგლისურ ენაში. მიღებული შედეგების საფუძველზე მოხდება ინგლისურ ენაში მათი დონეების მიხედვით გადანაწილება. „ინგლისური ენის საზაფხულო სკოლა საქართველოში“ საშუალებას მისცემს ამ მოსწავლეებს გაიარონ მისი ცოდნის დონის შესაბამისი ინგლისური ენის სამკვირიანი კურსი.

კურსის დასრულების შემდეგ, ყოველი მონაწილე მიიღებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საზაფხულო სკოლის განმახორციელებელი ორგანიზაციის მიერ დამოწმებულ სერტიფიკატს. დღის მეორე ნახევარში, საზაფხულო სკოლის მოსწავლეებს ექნებათ ექსკურსია ორგანიზებული ტრანსპორტით, სპორტული, სახელოვნებო, რეკრეაციული თამაშებით და ა.შ საზაფხულო სკოლის 600 მონაწილიდან შეირჩევა 36 [12 მოსწავლე-თითო ნაკადიდან] საუკეთესო მოსწავლე, რომლებიც 3 ნაკადად გაემგზავრებიან დიდ ბრიტანეთში ინგლისური ენის შემსწავლელ საზაფხულო სკოლაში.

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო წარმატებებს უსურვებს ხობელ მოსწავლეებს.

WWW.khobi-sakrebulo.ge.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

2015 წლის 29 ივლისს ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში გაიმართა საკრებულოს მორიგი სხდომა, რომელსაც თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა. სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოსა და გამგეობის ხელმძღვანელი პირები. სხდომაზე განხილულ იქნა დღის წესრიგით გათვალისწინებული სხვადასხვა საკითხები: მათ შორის: დადგენილების პროექტები: „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის 7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 16 ივლისის 13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“, რომლის თანახმადაც ცვლილებები შევიდა საკრებულოს რეგლამენტში და აპარატის დებულებაში ელექტრონულ საქმისწარმოებაზე გადასვლასთან დაკავშირებით. ასევე მოსმენილ იქნა ხობის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის იანვარ-ივნისის შესრულების ანგარიში, რომელიც საკრებულოს წევრების მიერ შეფასდა დამაკმაყოფილებლად.

სხდომაზე ასევე განხილულ იქნა განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების უსასყიდლოდ გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ რომლითაც ხეთის მოსახლეობის მოთხოვნის საფუძველზე საპატრიარქოს გადაეცა ხეთის ცენტრში მდებარე მიწის ნაკვეთი ეკლესიის ასაშენებლად. ამასთან მუნიციპალიტეტის გამგებელს მიეცა თანხმობა ხობის №2 ბაგა-ბაღის და კულტურის ცენტრის რემონტის დროს დარჩენილი სამშენებლო ნარჩენების პრივატიზების შესახებ.

საკრებულოს გადაწყვეტილებით ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონება უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაეცა სახელმწიფოს სახანძრო-სამაშველო სამსახურისთვის მისი შემდგომი გადაცემის მიზნით. საკრებულოს წევრების მხრიდან ერთხმად იქნა მხარდაჭერილი საკითხი ხობის მუნიციპალიტეტის გურიფულის ადმინისტრაციულ ერთეულში წმინდა გიორგის ქუჩისათვის „დები ზარანდიების“ სახელის მინიჭების მიზანშეწონილობის თაობაზე.

სხდომის დასასრულს საკრებულოს თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო საკრებულოს ბიუროს გადაწყვეტილება გოგიტა ჩიტაიასა და რეზო თოდუასთვის ხობის საპატიო მოქალაქეობის მინიჭების თაობაზე.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ საკრებულოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

WWW.khobi-sakrebulo.ge.

პრემიერ–მინისტრმა ახალი მინისტრები წარადგინა

შინაგან საქმეთა მინისტრი გიორგი მღებრიშვილი გახდა, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს კი კახი კახიშვილი უხელმძღვანელებს,–ახალი მინისტრები საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის ადმინისტრაციაში წარადგინა.

მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, რომ გიორგი მღებრიშვილი იყო წარმატებული მინისტრი, რომელმაც სასჯელაღსრულების სისტემაში, სტრატეგიულად და შინაარსობრივად, რადიკალური რეფორმა განახორციელა, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში აღმოიფხვრა ადამიანის უფლებების უხეში დარღვევა, წამება, სისასტიკე, ღირსების შემლახავი და არაადამიანური მოპყრობა, რომელიც წლების განმავლობაში დამკვიდრებული პრაქტიკა იყო.

„გოგამ გააუქმა სასჯელაღსრულების დეპარტამენტი, მოხდა მსჯავრდებულთა კლასიფიკაცია რისკების მიხედვით და რაც ძალიან მნიშვნელოვანია, პირველად, სახელმწიფო ხარჯავს მილიონობით ლარს პატიმრების მკურნალობისთვის. გოგა არის ინოვაციური პროექტის ინიციატორი, ვგულისხმობ ელექტრონულ სამაჯურებს, რომლის მეშვეობითაც განხორციელდება პატიმრების მონიტორინგი შინაპატიმრობაში. ბატონი გოგა არის ორი შვილის მამა, წესიერებით გამორჩეული, პროფესიით სამართალმცოდნე და ამ სფეროში მუშაობის 18-წლიანი გამოცდილება აქვს. სხვადასხვა წლებში იგი არაერთ, მათ შორის მაღალ თანამდებობაზე მუშაობდა. გოგა არის ძლიერი მენეჯერი, კარგად იცნობს სისტემას და ზუსტად იცის, რა სჭირდება ქვეყანას, საზოგადოებას და ჩვენს პოლიციელებს. დარწმუნებული ვარ, ის განაგრძობს შინაგან საქმეთა სამინისტროს რეფორმირების პროცესს და ამ ამოცანას თავს წარმატებით გაართმევს“, –განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

პროფესიით იურისტია სასჯელაღსრულებისა და პრობაციის ახალი მინისტრი, რომელიც წლების განმავლობაში არასამთავრობო სექტორში მუშაობდა, ხოლო 2014 წლის ოქტომბრიდან სასჯელაღსრულების მინისტრის პირველი მოადგილე იყო. „ბატონი კახი მუშაობდა შინაგან საქმეთა სამინისტროში, პროკურატურაში, იუსტიციის სამინისტროში და მას ყველა ძალიან კარგად ახასიათებს. მან თავი დაიმკვიდრა, როგორც ერთ-ერთმა ყველაზე გამორჩეულმა და ობიექტურმა ექსპერტმა“,–განაცხადა პრემიერმა.

როგორც ირაკლი ღარიბაშვილმა აღნიშნა, კახი კახიშვილის დანიშვნა მინისტრად, არის მკაფიო გზავნილი, რომ სასჯელაღსრულების სისტემის რეფორმირების პროცესში სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა გაიზრდება, სისტემა კიდევ უფრო გამჭვირვალე გახდება და სოზარ სუბარისა და გიორგი მღებრიშვილის მიერ დაწყებული რეფორმები ახალ ეტაპზე გადავა.

მთავრობის მეთაურმა ახალ მინისტრებს წარმატებები უსურვა და იმედი გამოთქვა, რომ უწყებები, რომლებიც მათ ჩაიბარეს, სამაგალითო იქნება.

ახალმა მინისტრებმა პრემიერს ნდობისთვის მადლობა გადაუხადეს და აღნიშნეს, რომ ეს მათთვის დიდი პასუხისმგებლობაა.

მარტოხელა პენსიონერები შეწყვეტილი დახმარებების სანაცვლოდ კომპენსაციებსაც მიიღებენ

საქართველოს მთავრობამ სხდომაზე სოციალურად დაუცველი მოსახელობის შეფასების მეთოდოლოგიასთან დაკავშირებით შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მომზადებულ ცვლილებათა პაკეტს დაამტკიცებს.

როგორც პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის სხდომის დაწყებისას განაცხადა, ახალი პროგრამით, რომელიც მაისიდან დაიწყო, შესაძლებელი გახდა, მრავალსულიანი და მრავალშვილიანი ოჯახების საჭიროებები უფრო ნათლად დაენახათ და გაეანალიზებინათ.

„მე ვიცი, რომ სამთვიანი მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა ყველა ის საკითხი, რაც შეცვლას და დახვეწას საჭიროებს. დღეს სწორედ იმ მარტოხელა პენსიონერებისთვის, რომლებიც პროგრამის მიღმა დარჩნენ, საარსებო შემწეობის აღდგენის საკითხს განვიხილავთ. უფრო მეტიც, ჩვენ მათ კომპენსაციის სახით, ავუნაზღაურებთ შესაბამის თანხას, რომელიც უნდა მიეღოთ იმ თვეების განმავლობაში, როდესაც შემწეობის მიღება შეჩერებული ჰქონდათ“,–განაცხადა ღარიბაშვილმა. პრემიერმა ამ საკითხის მომზადებისთვის, შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრ დავით სერგეენკოს მადლობაც გადაუხადა.

როგორც ღარიბაშვილმა აღნიშნა, 2012 წლიდან მისი მთავრობის დროს შეფასების მეთოდოლოგია არაერთხელ გაუმჯობესდა და ჯანდაცვის სამინისტრომ მის დახვეწაზე მუდმივ რეჟიმში მუშაობს.

„მას შემდეგ, რაც ელექტროენერგიის ტარიფი რეგიონებისთვის დაკორექტირდა, ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ სოციალურად დაუცველი ფენებისთვის ეს აგვერიდებინა და 70 000 ქულაზე ნაკლები შეფასების მქონე სოციალურად დაუცველებისთვის სახელმწიფო სრულად დაეფარა ტარიფის ზრდით გამოწვეული სხვაობა“,–განაცხადა ღარიბაშვილმა.

პრემიერ-მინისტრმა „თბილისი 2015“-ის დახურვის ცერემონიალში მიიღო მონაწილეობა

1

მთავრობის მეთაურის თქმით, ფესტივალი იხურება, მაგრამ ის საქართველოს უტოვებს კონკრეტულ და მნიშვნელოვან მემკვიდრეობას სამომავლო განვითარების ხელშესაწყობად.

„ვამაყობ, რომ ეს ძალიან მნიშვნელოვანი ნაგებობები მოემსახურება მომავალი ქართველი ოლიმპიური ჩემპიონების აღზრდას, მომზადებასა და ჩამოყალიბებას. მეამაყება, რომ ოლიმპიური სოფელი სულ მალე საცხოვრებლით უზრუნველყოფს 600-მდე ოჯახს, რომელთაც ომის დროს სახლები დაკარგეს აფხაზეთსა და სამაჩაბლოში. ჩვენთვის სასიხარულოა თქვენი მასპინძლობა საქართველოში. ვიმედოვნებ, სასიამოვნო დრო გაატარეთ ჩვენს ქვეყანაში და შინ განსაკუთრებული შთაბეჭდილებებით ბრუნდებით, მჯერა, რომ აქ ბევრი მეგობარი შეიძინეთ და ამ მეგობრობას შეინარჩუნებთ“, –მიმართა პრემიერმა ფესტივალის დახურვის ცერემონიის სტუმრებს.

ღონისძიების დასასრულს მთავრობის მეთაურმა ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის მონაწილეებს ავტოგრაფები მისცა.

საზეიმო დახურვის ცერემონია საერთაშორისო ოლიმპიური ჰიმნით, დროშების გაცვლითა და ოლიმპიური ცეცხლის ჩაქრობით დასრულდა.

როგორც ირაკლი ღარიბაშვილმა ჟურნალისტებთან საუბრისას აღნიშნა, საქართველომ ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი ღირსეულად ჩაატარა.

„როგორც დავპირდით ჩვენს მოქალაქეებს, ჩვენს ქვეყანას, ასევე 4000 სპორტსმენს, მათ ღირსეულად ვუმასპინძლეთ. ის დონე, რომელიც შევთავაზეთ სპორტსმენებს, ევროპის ოლიმპიურ კომიტეტს, არის განსხვავებული იმისგან, რაც იყო წინა წლებში. ისინი ყველა აღნიშნავენ, რომ ეს იყო ფანტასტიური, უმაღლეს დონეზე ორგანიზებული ფესტივალი“, –განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

უნივერსიტეტები ქართველი ჯარისკაცების განათლებაზე იზრუნებენ

საქართველოს თავდაცვის მინისტრი და მინისტრის მოადგილეები საქართველოში მოქმედი საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელმძღვანელ პირებს შეხვდნენ.

თინა ხიდაშელი, დავით ებრალიძე, ანა დოლიძე და ბესიკ ლოლაძე უნივერსიტეტების რექტორებთან საგანმანათლებლო საკითხებზე დაახლოებით ორი საათის განმავლობაში მსჯელობდნენ.

თინათინ ხიდაშელი მიიჩნევს, რომ თავდაცვის სამინისტროს საგანმანათლებლო დაწესებულებებმა უნივერსიტეტებთან ნაყოფიერად უნდა ითანამშრომლონ და მათი ცოდნა და გამოცდილება სათანადოდ გამოიყენონ.

ჩვენთვის უმნიშვნელოვანესია ყველა უნივერსიტეტთან თანამშრომლობა, დაწყებული იმ უნივერსიტეტებით, რომლებსაც სამხედრო უსაფრთხოების საკითხებზე მაგისტრატურა აქვთ, დასრულებული სამხედრო აკადემიით, რომელიც თავდაცვის სამინისტროსთვის შეიძლება მნიშვნელოვან პარტნიორად ვიგულოთ, როცა ვსაუბრობთ ჯარის პოპულარიზაციაზე, ახალგაზრდების ჩართულობაზე და ა.შ. ვფიქრობ, საინტერესო შეხვედრა იყო. ძალიან ბევრ თემას შევეხეთ, მათ შორის, თავდაცვის აკადემიასთან თანამშრომლობით ახალი სამაგისტრო პროგრამების მომზადების საკითხს. ვისაუბრეთ კურსებზე, რომლებიც შეიძლება ჩვენმა ჯარისკაცებმა გაიარონ უნივერსიტეტებში, საჯარო ლექციებზე, რომელსაც ეს უნივერსიტეტები, სავარაუდოდ, ჩაატარებენ სამხედრო ნაწილებში. ეს თანამშრომლობა არ უნდა იყოს ფრაგმენტული, ვფიქრობ, უნდა გაგრძელდეს და საზოგადოების სრული სპექტრი და სეგმენტი მოიცვას, რათა ჯარი გახდეს ერთიანი ქართული საზოგადოების ნაწილი“,–განაცხადა თინა ხიდაშელმა.

თავდაცვის სამინისტროს და მინისტრის ინიციატივებს დადებითად აფასებენ უნივერსიტეტების რექტორები. ისინი მზადყოფნას გამოთქვამენ, ჯარისკაცების განათლების საკითხში ჩაერთონ და სამინისტროსთანაც აქტიური კომუნიკაცია შეინარჩუნონ.

პოლიო აბრამია–115

ჩვენი ღირსეული წინაპარი!

სოფელი ხორგა პატარა, ლამაზი, გამრჯე ადამიანებით დასახლებული სოფელია. იგი ხობისწყლის ორივე სანაპიროზეა გაშლილი.

ხორგაში, სააბრამიოს უბანში, 1899 წლის მაისში დაიბადა პოლიო ერმილეს ძე აბრამია, ცნობილი პოეტი, პროზაიკოსი, მთარგმნელი.

პოლიოს მამა, ერმილე აბრამია, შეძლებული აზნაური ყოფილა, მას ცოლად ჰყავდა ეფრო გაბუნია, სარდიონ გაბუნიას და.

როგორ მოხვდნენ გაბუნიები ხორგაში?!

ყარამან აბრამიას ვაჟმა ერისტო აბრამიამ ცოლად შეირთო მარტვილელი გაბუნიას ქვრივი, დარუ. გაბუნიების ოჯახში დარუს დედით ობოლი ქალ-ვაჟი ეფრო და სარდიონი დახვდა, ორი წლის შემდეგ ეფრომ და სარდიონმა მამაც დაკარგეს. დარჩნენ პატარები დედინაცვლის ამარა. ხუთი წლის შემდეგ დედამთილ-მამამთილი შეაწუხა დარუს ცოლად შერთვის მსურველებმა. მათ გადაწყვიტეს ქვრივი რძალი, რომლის მშვენიერება შორს გავარდნილიყო, გაეთხოვებინათ. შეარჩიეს კიდეც სასიძო, ხორგელი ერისტუ ყარამანის ძე აბრამია, ჩქარა მაყრიონი მარტვილიდან ხორგისკენ დაიძრა. ნაქორწილევი სტუმრები გამთენიისას დაიშალნენ. ოჯახის უფროსმა, ყარა აბრამიამ, აივანზე ნაბადსშეყუჟული გოგო-ბიჭი შენიშნა და ჰკითხა მათ:–ვინა ხართ, საიდან მოხვედითო! თამამმა ეფრომ უპასუხა: „ჩვენ დარუ დედას შვილები ვართ. ბაბუ, გთხოვთ არ დაგვაშოროთ დედა–დარუსო“.

ყარა ბაბუს შეეცოდა ბავშვები, დატოვა ხორგაში და საკუთარი შვილიშვილებივით გაზარდა. ეფრო ნათესავ ერმილე აბრამიაზე გაათხოვა, სარდიონს კი მშვენიერი ჭაჭუ შერთო ცოლად. ასე გაჩნდნენ ხორგაში გაბუნიები.

ეფრო და ერმილე აბრამიებს 5 ვაჟი ჰყავდათ: პოლიო, ავქსენტი, ნიკოლოზი (კოლია), სილიბისტრო და ბაგრატი.

პოლიომ საშუალო სკოლა ფოთში შემდეგ–თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დაამთავრა. ერმილეს ვაჟიშვილთაგან პოლიო და სილიბისტრო ოჯახებით თბილისში ცხოვრობდნენ, ავქსენტი, კოლია და ბაგრატი ქ. სენაკში ,სადაც დღემდე ცხოვრობენ მათი შთამომავლები.

პოლიოს მეუღლე მარიამ (მარო) არუცევა–აბრამია „მთავლიტის“ თანამშრომელი იყო. იგი განათლებული, კეთილშობილი, შრომისმოყვარე ადამიანი გახლდათ. ჩვენ, პოლიოს ნათესავებს, დიდი სიყვარულითა და პატივისცემით გვღებულობდა.

ცნობილი ფაქტია, რომ პოლიოს იგავ-არაკული ჟანრის თხზულება „მელიამ“ მაშინდელ ქართულ მწერლობასა და საერთოდ ქართულ საზოგადოებაში აჟიოტაჟი გამოიწვია. „მელია“ ხელისუფლებამ ანტიკომუნისტური იდეის მატარებელ ნაწარმოებად აღიქვა, აკრძალა იგი და მხცოვანი მწერალი გაკიცხა, პოლიომ ვერ გაუძლო ამ ზეწოლას და ინსულტი განუვითარდა. იგი სამუდამოდ ინვალიდის ეტლს მიეჯაჭვა. მარო ბიცოლამ მას სამაგალითო მეუღლეობა გაუწია.

კარგად მახსოვს მისი მეგობრები, ვინც აკითხავდნენ და მხარში ედგნენ მაშინ მას: ალიო მაშაშვილი (მირცხუილავა), ისინი თანასოფლელებიც იყვნენ, კონსტანტინე გამსახურდია, ვიქტორ გაბისკირია, სიმონ ჩიქოვანი, აკაკი ხორავა, გრიგოლ აბრამია და ბევრი სხვა.

პოლიოს ერთადერთი ქალიშვილი, მერი აბრამია, ნიჭიერი და განათლებული ადამიანი იყო, მეუღლეც შესანიშნავი ჰყავდა–ოთარ ტურაბელიძე, სამი შვილი გაზარდეს, ორი ვაჟი და ერთი ულამაზესი ქალიშვილი. ისინი თბილისში ცხოვრობენ.

მამაჩემმა, მერის სიყვარულით დამარქვა მეც მისი სახელი.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, პოლიო აბრამია იყო პოეტი, პროზაიკოსი, მთარგმნელი, მეიგავე. მისი ლექსების სამი კრებული მკითხველმა დიდი ინტერესით მიიღო. პოლიომ თარგმნა ფადეევის „ახალგაზრდა გვარდია“, ტოლსტოის „როგორ იწრთობოდა ფოლადი“, მაკარენკოს პედაგოგიური მოთხრობები“, ვასილევსკაიას „ცისარტყელა“, პოლევოის „მოთხრობა ნამდვილი ადამიანებზე“ და სხვა.

ბიძაჩემი უაღრესად თბილი და კაცთმოყვარე ადამიანი იყო. სიამოვნებით ვიგონებ მასთან ყველა სტუმრობას. მახსოვს ერთხელ მას ალიო ესტუმრა, მეც შემთხვევით პოლიო ბიძიასთან ვიყავი. მთხოვეს წამეკითხა ალიოს რომელიმე ლექსი; წავიკითხე მისი ერთერთი საუკეთესო ლექსთაგანი „ვერხვი“, იჯდა ჩემს წინ ორი არაჩვეულებრივი ქართველი პოეტი და აღტაცებული მისმენდა. მერე ალიო ადგა, შუბლზე მაკოცა და ცრემლმორეულმა მეგრულად მითხრა–„მა დო სი ხორგაშა ართო ოკო მიდავრთათი“–(მე და შენ ხორგაში ერთად უნდა წავიდეთო) ის დღე არასოდეს დამავიწყდება.

პოლიო აბრამია ფიზიკურადაც ლამაზი მამაკაცი გახლდათ. ტანმაღალი, თხელი აგებულების, დიდი, ცისფერი თვალებითა და მაღალი შუბლით არაჩვეულებრივ გავლენას ახდენდა მნახველზე.

მისი დაბადებიდან 115 წელი გავიდა, ერთერთმა ჩვენმა ბიძაშვილმა, ვისაც ახსოვს პოლიო ბიძიას თბილი გული და უხვი ხელები, ჯუმბერ აბრამიამ, პოლიოს დაბადების თარიღის აღვნიშვნა ითავა, დიდი მადლობა მინდა ვუთხრა ამისთვის მას და ჯანო, ლევან, გულადი აბრამიამ ჩვენ კი შეგვიძლია ვიამაყოთ, რომ პოლიო აბრამია ჩვენი წინაპარი და სისხლისმიერი ნათესავი იყო.

უფალმა სასუფეველი დაუმკვიდოს ამ გულანთებულ პატრიოტსა და ნიჭიერ ქართველ კაცს.

ამინ!

მერი აბრამია,

საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წევრი, აკადემიების „ფაზისისა“ და „ქალდეას“ აკადემიკოსი, ილია მართლის (ჭავჭავაძის) გაზეთ „ივერიის“ პოეზიისა და პროზის პრემიის ლაურეატი, „ქართული ელიტის 2014 წლის პოეტი“, „ღირსების ორდენის“ კავალერი, სოფელ გურიფულის „ღირსეული შვილის“ ტიტულის მფლობელი.

პოლიო აბრამია

მიყვარს ოდიში

მიყვარს ოდიში, მშობლიური მამული–დედული
იქ დარჩა ჩემი სიყმაწვილე გალაღებული,
ხავსიან ყავრით დახურული ოდა გლეხური!
მეყვრი რამ ვნახე, ოფრო მეცის ვიყავ მსურველი,
სულს მაინც მედამ იქ ედახის მიწის სურნელი,
თეთრი მარცვილი, ჯალმახემით სავსე ცეხური.
სხვის მხარეზედაც იქნემ თვალიც ზედ დამრჩენია,
ოდიში მაინც მთელ ქვეყანას სულ მირჩევნია!

ხომისწყალს

გადაკარგული ჯვლავ მოვედი,
დაგცქერი შვემით,
თითქოს მომსდევენ ციცლიკანა
სოფლის მავშვემი,
რომ ცივ მორეკში გადავეშვა
მარდი მხარულით!
ასე მგონია, ცალღათ ჭიდილს
თუ მივეცემი,
დამიმრუნდემა შორეული მავშვომა ჩემი,
დაუცხრომლობა, სიჩაუქე და სიხარული.
ცისფერ ზვირთემში მანაომენ თითქოს ნიმფემი,
ო, ვერ გავიგე, შენ შრიალემ, თუ ცირითემი?

ჰეი, მამულო!

ჰეი, მამულო, სათაყვანო, სიცოცხლის დარო,
შენ ხარ მარადი სასოემით უშრეტი წყარო,
სულ ასე წმინდა, მოკამკამე, აუმღვრეველი!
მე შენი მადლი მეწვეთემა ამ გულში მისხლით
და შენით მიდგას პირში სული, ბარღვემში–სისხლი,
შენგანა მხნეობს ეს მარჯვენაც დაუძლეველი!
შენს ბახილს ვუსმენ! მეც სხვა ფიქრი არ მეკარემა
ხარ–სიხარული, ხარ–სიცოცხლე, ხარ–ნეტარემა!

მოძმეს კეთილო

ყოველ დღეს, ძმაო, შეაგემე ალალი გული,
შრომით და გარჯით ასახელე შენი მამული
და შინ და გარეთ მოუღლელად გეჭიროს თვალი!
სჭედე, აშენე, შენს ხელთაა სამშობლოს მედი,
დაე, თუნდ შორით გასკდეს მცენი უნდო, თავხედი,
იმრძოლე ისე, რომ ამქვეყნად დაცოვო კვალი!
იყავ მცკიცედ და მომხდურსაც ისე დაჰკარი,
როგორც ოდესღაც აქ არმეკდა მტერს წინაპარი!

სახეები

ნუგზარ წურწუმია –2014 წლის საქართველოს ჩემპიონი ჭაბუკებს შორის, 2015 წლის საქართველოს ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის, საერთაშორისო ტურნირების მრავალგზის გამარჯვებული, ევროპის პრიზიორი.

პირველი გამარჯვება

სპორტი ბავშვობიდან მიყვარდა, ჩემს მეგობრებთან ერთად ყოველდღე ვვარჯიშობდი, ისინი ჭიდაობაზე დადიოდნენ, მეკი მათ შორიდან შევნატროდი. 11 წლის ვიყავი, როცა ნათლიაჩემმა თენგო გვასალიამ ოცნება ამისრულა და განათლების ცენტრში ბერძნულ-რომაული სტილით ჭიდაობის ჯგუფში მიმიყვანა. ვარჯიში მამუკა ყორშიასთან და სურაჯ გვასალიასთან დავიწყე. მათ მალევე შეამჩნიეს ჩემი მონდომება და ნიჭი, სულ რაღაც ერთ თვეში პირველ შეჯიბრზე გამიყვანეს... და პირველი გამარჯვების გემოც გავიგე, მას შემდეგ მიზნად მოგება დავისახე და თავს არ ვზოგავდი წარმატების მისაღწევად.

სვლა მწვერვალისკენ

პირველ მნიშვნელოვან წარმატებას 16 წლისამ მივაღწიე–42 კგ. წონით კატეგორიაში საქართველოს ჩემპიონი გავხდი. პირველი გასვლა საზღვარგარეთ ბაქოში საერთაშორისო ტურნირზე მომიწია-გრამპრიზე, სადაც მეორე საპატიო ადგილი მოვიპოვე. მალე მოწვევა მივიღე ანტალიაში ბერძნულ-რომაული სტილით ჭიდაობის საერთაშორისო ტურნირზე, რომელშიც ჩემ წონით კატეგორიაში პირველი ადგილი ავიღე... შემდეგ იყო ისევ საქართველოს ჩემპიონობა, საქართველოს ბერძნულ-რომაული სტილით ჭიდაობის ნაკრების წევრი გავხდი. რამაც უფრო მეტი პასუხისმგებლობა დამაკისრა და უფრო ინტენსიური ვარჯიში დავიწყე როგორც ხობში ჩემი მწვრთნელების, ასევე გუნდში დავით ბედიანიძის დახმარებით. ლატვიაში 2015 წელა ჩატარებულ ტურნირზე მოვიპოვე საგზური ევროპის ჩემპიონატზე, რომელიც თურქეთის ქალაქ სტამბულში ჩატარდა. წინ საკმაოდ რთული ევროპის ჩემპიონატი მელოდებოდა, რომელიც თავდაუზოგავ შრომას მოითხოვდა ჩემგან, რადგან წარმატება უკვე გზას მიხსნიდა მსოფლიო შეჯიბრზე მოსახვედრად.

რთული ბრძოლა სტამბულში

ნაკრებ გუნდთან ერთად თურქეთში ქალაქ სტამბულში გავემგზავრე, ხობელ ამჟამინდელ მწვრთნელ ბაკურ ბუკიასთან ერთად. გუნდი საკმაოდ წარმატებით ჭიდაობდა და მეც უნდა დამედო ჩემი წილი გამარჯვება. საკმაოდ ძლიერ პარტნიორებთან მომიწია ორთაბრძოლებმა. მესამე ადგილისთვის საკმაოდ გამოცდილ თურქ პარტნიორს შევხვდი, წარმოგიდგენიათ ალბათ, თურქეთში მოუგო თურქს ეს ფსიქოლოგიურად ძალიან რთულია. მთელი დარბაზი ჩემს ოპონენტს გულშემატკივრობდა, გადამწყვეტ რაუნდში ტატამზე სუფთად დავდე. უცებ დარბაზი გაირინდა და ერთი ბაკურის ყიჟინა ისმოდა.

ვარჯიში

–დარბაზის უქონლობის გამო საკმაოდ რთულ პირობებში გვიწევს ვარჯიში, მაგრამ ჩვენი მწვრთნელების თავდაუზოგავი შრომით მიზანს მაინც ვაღწევთ. მახარებს ის ფაქტი, რომ მალე ხობელ ბავშვებს დიდი მოწესრიგებული დარბაზი ექნებათ და დარწმუნებული ვარ, არა ერთი ჩემპიონი გაიზრდება და ასახელებს ჩვენს ქვეყანას და ჩვენს საყვარელ ქალაქს.

მიზანი

–თვის ბოლოს ბრაზილიაში მივემგზავრები, სადაც მსოფლიო ჩემპიონატი გაიმართება, რომლისთვისაც ინტენსიურად ვემზადები ნაკრებთან ერთად. ჩემი მიზანია გავხდე მსოფლიო ჩემპიონი, და უფრო დიდი მიზანი - ჩემი ქვეყანა გავახარო ოლიმპიური ჩემპიონობით.

წარმატებები ნუგზარ!

ლელა ალანია.

ჩვენს მუნიციპალიტეტში

საქართველოს თავდაცვის მინისტრი ხობში

29 ივლისს 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპული ხობელი გმირების მემორიალი გვირგვინით შეამკეს საქართველოს თავდაცვის მინისტრმა თინათინ ხიდაშელმა, საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსმა ვახტანგ კაპანაძემ, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ედიშერ ჯობავამ და გამგებელმა გოჩა ქაჯაიამ.

მინისტრი დაღუპული გმირების ოჯახის წევრებს შეხვდა, მათ კიდევ ერთხელ გაიხსენეს 8 აგვისტოს დაღუპულები და პატივი მიაგეს მათ ხსოვნას.

განხორციელებული პროექტების მონიტორინგი

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ედიშერ ჯობავამ, გამგებელმა გოჩა ქაჯაიამ, გამგებლის მოადგილემ ვარაზ გაბედავამ და ადგილობრივი თვითმმართველობის სხვა თანამდებობის პირებმა დაათვალიერეს „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში შუა ხორგის ადმინისტრაციულ ერთეულში დასრულებული შიდა სასოფლო გზის და ჭალადიდის საზოგადოებრივ ცენტრის შენობაში განხორციელებული სარემონტო სამუშაოები. პროგრამის ფარგლებში მიმდინარე და განსახორციელებელი სამუშაოების მონიტორინგი ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან პერიოდულად გაგრძელდება.

გურიფულში „კვირიკობა“ აღინიშნა

28 ივლისს ხობის მუნიციპალიტეტის გურიფულის ადმინისტრაციულ ერთეულში „კვირიკობის“ დღესასწაული აღინიშნა. დღესასწაულთან დაკავშირებით წმინდა მოწამეების კვირიკესა და ივლიტას სახელობის მშენებარე ტაძარში წირვა-ლოცვა აღავლინა ხობის წმიდა სამების ტაძრის წინამძღვარმა მამა კირიონმა. საზეიმო ლიტურგიას ესწრებოდნენ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა, გამგებელი გოჩა ქაჯაია და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები.

ხობელი ბავშვები ანაკლიის აკვაპარკში

ანაკლიის აკვაპარკმა სეზონი ოფიციალურად გახსნა. აკვაპარკი სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორის ინიციატივით, სოციალურად დაუცველმა და წარჩინებულმა ბავშვებმა გახსნეს. ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გოჩა ქაჯაიამ და საკრებულოს თავმჯდომარემ ედიშერ ჯობავამ ხობის მუნიციპალიტეტიდან ერთი სამარშრუტო ტაქსით სოციალურად დაუცველი ბავშვები ანაკლიის აკვაპარკში ჩაიყვანეს. მათ მთელი დღის განამვლობაში აკვაპარკში დასვენება უფასოდ შეეძლებათ. აკვაპარკმა ბავშვებს სამეგრელო-ზემო სვანეთიდან, გურიიდან და იმერეთიდან უმასპინძლა.

C ჰეპატიტის ვირუსის უფასო ტესტირება

28 ივლისს მსოფლიომ, **C** ჰეპატიტის საერთაშორისო დღე აღნიშნა. სს „სამედიცინო კორპორაცია ევექს“-მა 28-29 ივლისს საქართველოს მასშტაბით და მათ შორის ხობის ჰოსპიტალმა მოსახლეობას ჰეპატიტ **C**-ზე უფასო ტესტირება ჩაუტარა.

ჰეპატიტ **C** -ზე უფასო ტესტირება ხობის მუნიციპალიტეტში 120 ადამიანს ჩაუტარდა, აქციაში მონაწილეობა მიიღეს ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირებმა და აპარატის თანამშრომლებმა.

ენერგეტიკის მინისტრი ხობის მუნიციპალიტეტში

31 ივლისს ხობის მუნიციპალიტეტის ახალსოფლის ადმინისტრაციულ ერთეულში „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ „რეგიონალური ელექტროგადაცემის გაუმჯობესების პროექტის“ ფარგლებში, ქვეყნის ენერგეტიკისათვის მნიშვნელოვანი, ახალი, 220110კვ-იანი ქვესადგურის მშენებლობის პროექტის განხორციელება დაიწყო.

ქვესადგურ „ხორგას“ მშენებლობის დაწყების საზეიმო ცერემონიალს ვიცეპრემიერი, საქართველოს ენერგეტიკის მინისტრი კახა კალაძე, საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის რეაბილიტაციის მმართველი სულხან ზუმბურიძე, საქართველოში „აზიის განვითარების ბანკის“ მუდმივი წარმომადგენლობის დირექტორი ქეით ჯულიანი, სამეგრელო ზემო სვანეთის მხარის გუბერნატორი ლევან შონია, ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი გოჩა ქაჯაია, საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა და გამგებლის მოადგილეები ვარაზ გაბედავა და მახარე ჩოკორაია დაესწრნენ.

პროექტის განხორციელება ხელს შეუწყობს მომხმარებლისთვის ელექტროენერგიის უწყვეტ და საიმედო მიწოდებას, ფოთის ინდუსტრიული ზონისა და მისი მიმდებარე ტერიტორიებისთვის დამატებითი სიმძლავრის უწყვეტ მიწოდებას, საექსპორტო ბაზრებთან დაკავშირებას და საშუალებას მისცემს ქვეყანას განახორციელოს ელექტროენერგიის ექსპორტი თურქეთში. პროექტის დასრულება 2016 წლის პირველ ნახევარში იგეგმება.

ქალაქ ხობში გზის მოასფალტება მიმდინარეობს

რეგიონალური განვითარების პროგრამის ფარგლებში ქ. ხობში ვაჟა-ფშაველას, აკაკი წერეთელის, დავით აღმაშენებელის, თავისუფლების და სულხან-საბა ორბელიანის ქუჩებზე გზის საფარის მოწყობა მიმდინარეობს ასფალტ-ბეტონის საფარით. პროექტის ღირებულება, რომელსაც შპს „შარაგზამშენი პირველი“ ახორციელებს, 300 000 ლარია. მიმდინარე სამუშაოები ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გოჩა ქაჯაიამ, საკრებულოს თავმჯდომარემ ედიშერ ჯობავამ და გამგებლის პირველმა მოადგილემ ვარაზ გაბედავამ დაათვალიერეს.

ბიისა და საჯიჯაოს საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია

ხობის მუნიციპალიტეტის ბიისა და საჯიჯაოს ადმინისტრაციულ ერთეულებში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში საბავშვო ბაღების სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს. ბიის საბავშვო ბაღში სარემონტო სამუშაოებს, რომლისთვისაც გამოყოფილია 26151 ლარი, ი/მ „დავით ქორთუა“ ასრულებს, ხოლო საჯიჯაოს საბავშვო ბაღის სახურავის სარემონტოსამუშაოებს„ რომლის ღირებულებაც 40680ლარია–ი/მ „ვახტანგ ლომაია“ მიმდინარე ინფრასტრუქტურული სამუშაოები, რომლებიც აგვისტოს დასაწყისში უნდა დასრულდეს ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა დაათვალიერეს.

ფოლკლორული საღამო ქვემო ქვალონში

ხობის მუნიციპალიტეტის ქვემო ქვალონის ადმინისტრაციული ერთეულში ფოლკლორის საღამო გაიმართა. ახალგაზრდა გოგო-ბიჭებმა ქართული ტრადიციული სიმღერები და ცეკვები შეასრულეს.

ღონისძიება, რომლის მიზანი ქართული ხალხური შემოქმედების, ფოლკლორის ნიმუშების შეკრება, მოძიება და პოპულარიზაციაა, საჯიჯაოს ადმინისტრაციულ ერთეულში უკვე ჩატარდა და ხობის მუნიციპალიტეტის ყველა ზონას მოიცავს.

ფოლკლორულ საღამოს, რომელიც ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, კულტურის, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდული საქმეთა სამსახურის აქტიური მხარდაჭერით ჩატარდა, ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელის პირველი მოადგილე ვარაზ გაბედავა და გამგებლის მოადგილე მახარე ჩოკორაია ესწრებოდნენ.

ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲐᲓ ᲓᲐᲣᲪᲕᲔᲚᲗᲐ ᲨᲔᲤᲐᲡᲔᲑᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲛᲔᲗᲝᲓᲝᲚᲝᲒᲘᲐ

სოციალურად დაუცველთა შეფასება დღემდე „აქილევსის“ ქუსლია და დაუცველთა სტატუსის მაძიებელი მოსახლეობის მუდმივ უკმაყოფილებას იწვევს. შეფასების ახალ მეთოდოლოგიაზე განმარტება ვთხოვეთ სოციალური მომსახურების სააგენტოს ხობის რაიონული განყოფილების უფროსს ბატონ ᲑᲐᲓᲠᲘ ᲯᲘᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ.

საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე მკითხველს ამ გაზეთის საშუალებით მ,ოკლედ მინდა გავაცნო ის ძირითადი ცვლილებები, რომელიც განხორციელდა სოციალურად დაუცველი ოჯახების სარეიოტინგო ქულის დათვლის მეთოდოლოგიაში.

2015 წლის 1 მაისიდან სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის სტატუსის მინიჭების ახალი მეთოდოლოგია ამოქმედდება. აღნიშნულ საკითხზე მუშაობა სოციალური მომსახურების სააგენტომ, „უნისეფთან" ერთად, 2013 წლის სექტემბერში დაიწყო. მოქმედი მეთოდოლოგია მოძველებული იყო და საჭირო გახდა სარეიტინგო ქულების დათვლის ისეთი სისტემის შემუშავება, რომელიც სტატუსის განსაზღვრისას ორიენტირებული იქნება ოჯახების შემოსავლებზე (ან შემოსავლის მომტან ქონებაზე) და არა ხარჯებზე. ანუ სოციალურად დაუცველის სტატუსის მიმღები შეიძლება გახდეს ოჯახი, რომელსაც არ აქვს შემოსავალი ან შემოსავლის მომტანი რაიმე სახის ქონება. მაგალითად: დამატებითი ბინა, სახნავ-სათესი სავარგულები, ავტომობილი. პირველადი საყოფაცხოვრებო ტექნიკა, საყოფაცხოვრებო საგნები (მაცივარი, სარეცხი მანქანა, გაზქურა, წყლის გამათბობელი, კონდიციონერი, ტელევიზორი,) სარეიტინგო ქულებზე გავლენას არ მოახდენს. სარეიტინგო ქულების განსაზღვრისას მხედველობაში აღარ მიიღება სოციალური აგენტის სუბიექტური მოსაზრება, რაც მინიმუმამდე დაიყვანს არაობიექტური ქულათა რაოდენობის მინიჭების შესაძლებლობას. გათვალისწინებული იქნება თავად ოჯახის საჭიროებები (თუ ოჯახში არის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი, ქრონიკული ავადმყოფი და ა.შ.).

მოხდება სოციალურად დაუცველების დიფერენცირება ანუ რამდენიმე ჯგუფად დაყოფა. ყველაზე გაჭირვებული ოჯახები მეტ დახმარებას მიიღებენ.

* ოჯახი, რომლის სარეიტინგო ქულაც 30001-ზე ნაკლებია_საარსებო შემწეობა განისაზღვრება 60 ლარით ოჯახის ყველა წევრზე:

* ოჯახი, რომლის სარეიტინგო ქულა 3001 და მეტი, მაგრამ ნაკლებია 57001 ქულაზე-საარსებო შემწეობა განისაზღვრება 50 ლარით ოჯახის ყველა წევრზე;

* ოჯახი, რომლის სარეიტინგო ქულაა 57001 და მეტი, მაგრამ ნაკლებია 60001 ქულაზე_საარსებო შემწეობა განისაზღვრება 40 ლარით ოჯახის ყველა წევრზე;

* ოჯახი, რომლის სარეიტინგო ქულაა 60001 და მეტი, მაგრამ ნაკლებია 65001 ქულაზე_საარსებო შემწეობა განისაზღვრება 30 ლარით ოჯახის ყველა წევრზე;

* ოჯახი, რომლის სარეიტინგო ქულაა 10001 ქულაზე ნაკლებია_საარსებო შემწეობა განისაზღვრება 10 ლარით ოჯახის თითოეულ 16 წლამდე ასაკის წევრზე.

ოჯახი ფულად დახმარებას მიიღებს, საარსებო შემწეობისდანიშვნის პროცედურის განხორციელების შემდგომ, მინიჭებული სარეიტინგო ქულის ძალაში შესვლიდან მეორე თვეს.

სიახლეა ყოველ ბავშვზე 10 ლარიანი დანამატი, რომელიც მეთოდოლოგიაში „უნისეფის" რეკომენდაციით ჩაიდო. დანამატი ბავშვზე ყველა ოჯახს დაენიშნება, მათ შორის, იმათ, ვისი სარეიტინგო ქულა განისაზღვრება 65 000-დან 100 00 ჩათვლით, მიუხედავად იმისა, ეს კატეგორია იქნება თუ არა ბენეფიტის მიმღები.

აქვე გთავაზობთ იმ ცვლილებებს ცხრილის სახით, რომელიც განხორციელდა სოციალურად დაუცველი ოჯახების შეფასების მეთოდოლოგიაში. ცხრილში სადაც დასმული ნიშანი + გათვალისწინებულია ქულის დათვლის პროცესში, მაგალითად სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი ცხრილიში + დასმულია სოფლის გრაფაში ე.ი. გათვალისწინებულიო იქნება სოფლის მცხოვრებთათვის.

ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲝ ᲒᲐᲡᲐᲪᲔᲛᲔᲚᲘ ᲝᲯᲐᲮᲖᲔ

ზღვარი	მხდ-ს საშუალო ოდენობა ოჯახზე - სტატუს -კვო <57000 ქვემოთ	მხდ-ს საშუალო ოდენობა ოჯახზე - მხოლოდ მხდ	მხდ-ს საშუალო ოდენობა ოჯახზე - მხდ+ ბავშვის დანამატი
<30,000	165 ლარი	331 ლარი	352 ლარი
30,000-57,000		207 ლარი	217 ლარი
57,000-60,000		163 ლარი	174 ლარი
60,000-65,000		111 ლარი	120 ლარი
65,000-100,000			18 ლარი

	სტატუს- კვო	მხოლოდ მხდ	მხდ და ბავშვთა დანამატი
	სარგებლის ოდენობა 60-48 ქველი ზღვრის 57,000 ქვემოთ	სარგებლის ოდენობა 60, 50,50,40 და 30 ახალი ზღვრების შესაბამისად 30,50,57,60 და 65 ათასის ქვემოთ.	სარგებლის ოდენობა 60,50,50,40 და 30 ახალი ზღვრების შესაბამისად 30,50, 57,60 და 65 ათასის ქვემოთ და ბავშვის დანამატი 10 ლარი/თვე 100 000 ქულაზე ქვემოთ.
დაფარვა (რაოდენობა)			
ოჯახები	141,831	106,000	179,200
მოსახლეობა	420,931	460,000	847,500
ბავშვები	107,282	128,000	260,000
უკიდურესი სიღარიბე			
ოჯახები	3.75%	4.08%	3.72%
მოსახლეობა	4.49%	3.84%	3.36%
ბავშვები	7.14%	4.49%	3.34%
ზოგადი სიღარიბე			
ოჯახები	21.79%	22.41%	22.08%
მოსახლეობა	24.93%	23.98%	23.40%
ბავშვები	30.37%	28.00%	26.87%
მთლიანი ხარჯი მაქს. (თვე)	24,938,558	22,500,000	25,100,000
მხდ	24,938,558	22,500,000	22,500,000
ბავშვის დანამატი	0	0	2,600,000
მთლიანი ხარჯი მინ. (თვე)	22,697,780	21,200,000	23,300,000
მხდ	22,697,780	21,200,000	21,200,000
ბავშვის დანამატი	0	0	2,100,000

ᲠᲔᲤᲝᲠᲛᲘᲡ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘ

- რეფორმა მიმდინარეობს 2013 წლის სექტემბრიდან
- ურთიერთგაგების მემორანდუმი - შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო, სოციალური მომსახურების სააგენტო და გაეროს ბავშვთა ფონდი - იუნისეფი.
- საქართველოს სტატისტიკის სამსახური ჩართული იყო რეფორმისთვის საჭირო მონაცემთა შეგროვებაში.
- რეგულარული სამუშაო შეხვედრები და კონსულტაციები სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან.

ᲠᲐ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲓᲐ

- შემუშავდა ახალი მეთოდოლოგია.
- ითვალისწინებს ქვეყანაში მიმდინარე რეფორმებს და სიღარიბის ტენდენციებს
- გადაიხედა საჭიროების ინდექსი.
- დაემატა, გამოაკლდა და გადაიხედა განსაკუთრებული საჭიროებების შესაბამისი ჯგუფები.
- მიმდინარეობს მუშაობა რეფერალის ინსტრუმენტზე.
- აკავშირებს სოციალურ აგენტებს და სოციალურ მუშაკებს.
- ძალადობის, უგულებელყოფის და სხვა დამატებითი საჭიროებების შესაბამის სტრუქტურებთან რეფერირების მიზნით.

ᲡᲣᲑᲘᲔᲥᲢᲣᲠᲘ ᲨᲔᲤᲐᲡᲔᲑᲐ:

- სოციალური აგენტის სუბიექტური შეფასება საყოფაცხოვრებო საგნები
- მაცივარი, სარეცხი მანქანა, გაზქურა, წყლის გამათბობელი ავზი, გაზის წყლის გამათბობელი, გაზის გამათბობელი, ვიდეო ან ციფრული ფოტოკამერა, ვიდეომაგნიტოფონი ან DVD ფლეერი, ღენის გენერატორი, კონდიციონერი, სამზარეულოს კომბაინი, ჭურჭლის სარეცხი მანქანა, გათბობისა და ცხელი წყლით მომარაგების ინდივიდუალური სისტემა, ტელევიზორი, თამბაქოს მოხმარება, საპონი, კბილის პასტა...







ᲐᲮᲐᲚᲘ ᲛᲔᲗᲝᲓᲝᲚᲝᲒᲘᲘᲡ ᲪᲕᲚᲐᲓᲔᲑᲘ

ᲪᲕᲚᲐᲓᲘ	ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ	ᲓᲘᲓᲘ ᲥᲐᲚᲐᲥᲔᲑᲘ	ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲥᲐᲚᲐᲥᲔᲑᲘ	ᲡᲝᲤᲔᲚᲘ
ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲘ, ᲡᲝᲪᲘᲝ-ᲓᲔᲛᲝ�გᲠᲐᲤᲘᲣᲚᲘ ᲪᲕᲚᲐᲓᲔᲑᲘ, ᲨᲔᲛᲝᲡᲐᲕᲐᲚᲘ				
რეგიონი	-	-	+	+
შინამეურნეობის წევრთა რაოდენობა	+	+	+	+
ერთი სრულწლოვანი შვილი მაინც ცხოვრობს დამოუკიდებლად	-	-	+	+
ოჯახის უფროსი არის ქალი	-	+	-	+
უმაღლესი განათლების მქონე წევრთა წილი	+	+	+	+
18-დან 65 წლამდე შრომისუნარიანი წევრების წილი ოჯახში	+	+	-	-
ერთი ბავშვი მაინც ცხოვრობს ოჯახში	-	-	-	+
ჯამური შემოსავალი	+	+	+	+
ელექტროენერგიასა და ბუნებრივ გაზზე გადახდილი თანხა	+	+	+	+

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲛᲔᲗᲝᲓᲝᲚᲝᲒᲘᲘᲡ ᲪᲕᲚᲐᲓᲔᲑᲘ–ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ

ᲪᲕᲚᲐᲓᲘ ᲫᲠᲝᲕᲔᲑᲐ	ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ	ᲓᲘᲓᲘ ᲥᲐᲚᲐᲥᲔᲑᲘ	ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲥᲐᲚᲐᲥᲔᲑᲘ	ᲡᲝᲤᲔᲚᲘ
საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი	-	-	-	+
ძროხები და კამეჩები	-	-	-	+
ფუტკრის სკები	-	-	+	+
შინაური ფრინველი	-	-	+	+
უცხოური ავტომობილები	+	+	+	+
ტრაქტორები	-	-	-	+
ოთახების რაოდენობა ძირითად საცხოვრისში	-	+	-	+
ძირითადი საცხოვრებლის ფართობი	+	-	-	-
ოჯახი ფლობს ძირითადი საცხოვრებლის გარდა სხვა საცხოვრებელს	-	-	+	-
სხვა საცხოვრებლის (ბინა/სახლი) ფართობი	+	+	-	+
სხვა საცხოვრებლის (აგარაკი) ფართობი	-	+	-	+
ოჯახი არ ფლობს სხვა ქონებას	-	-	+	+
ძირითადი საცხოვრებლის იატაკი-პარკეტი	+	-	-	-
ცვლადების რაოდენობა	9	10	17	23

ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲔᲑᲘᲡ ᲘᲜᲓᲔᲥᲡᲘᲡ ᲙᲐᲢᲔ�გᲝᲠᲘᲔᲑᲘ

	ᲙᲐᲢᲔ�გᲝᲠᲘᲔᲑᲘ
1	ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲘ
2	ᲨᲨᲛ ᲑᲐᲕᲨᲕᲘ
3	ᲛᲙᲕᲔᲗᲠᲐᲓ ᲒᲐᲛᲝᲮᲐᲢᲣᲚᲘ ᲨᲔᲖᲦᲣᲓᲣᲚᲘ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲥᲝᲜᲔ �პᲘᲠᲘ (I Ჯ�გᲣᲤᲘ)
4	ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲜᲐᲓ ᲒᲐᲛᲝᲮᲐᲢᲣᲚᲘ ᲨᲔᲖᲦᲣᲓᲣᲚᲘ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ �პᲘᲠᲘ (II Ჯ�გᲣᲤᲘ)
5	ᲛᲐᲠᲢᲝᲮᲔᲚᲐ �პᲔᲜᲡᲘᲝᲜᲔᲠᲘ
6	ᲤᲔᲮᲛᲫᲘᲛᲔ ᲥᲐᲚᲘ
7	ᲛᲔᲫᲣᲫᲣᲠᲘ ᲓᲔᲓᲐ
8	ᲛᲐᲠᲢᲝᲮᲔᲚᲐ ᲓᲔᲓᲐ
9	ᲝᲑᲝᲚᲘ (ᲓᲔᲓ-ᲛᲐᲛᲘᲗ)
10	ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲨᲘᲨᲘ ᲓᲐᲐᲕᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝᲓ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲔᲑᲡ ᲞᲔᲠᲛᲐᲜᲔᲜᲢᲣᲚ ᲛᲔᲓᲘᲙᲐᲛᲔᲜᲢᲝᲖᲣᲠ/ᲐᲛᲑᲝᲚᲐᲢᲝᲠᲘᲣᲚ ᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝᲑᲐᲡ

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲤᲝᲠᲛᲣᲚᲐ ᲓᲐ ᲑᲔᲜᲔᲤᲘᲢᲔᲑᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲢᲠᲣᲥᲢᲣᲠᲐ

ᲫᲕᲔᲚᲘ ᲤᲝᲠᲛᲣᲚᲐ

ᲖᲦᲕᲐᲠᲘ	ᲝᲯᲐᲮᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲬᲔᲕᲠᲘ	ᲨᲔᲛᲓᲒ-ᲝᲛᲘ ᲬᲔᲕᲠᲘ	ᲑᲐᲕᲨᲕᲘᲡ ᲓᲐᲜᲐᲛᲐᲢᲘ
<57 000	60	48	0

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲤᲝᲠᲛᲣᲚᲐ

ᲖᲦᲕᲐᲠᲘ	ᲝᲯᲐᲮᲘᲡ ᲜᲔᲑᲘᲡᲛᲘᲔᲠᲘ ᲬᲔᲕᲠᲘ	ᲑᲐᲕᲨᲕᲘᲡ ᲓᲐᲜᲐᲛᲐᲢᲘ
<30,000	60	10
30,000-57,000	50	10
57,000-60,000	40	10
60,000-65,000	30	10
65,000-100,000	0	10

ხელისუფლების პროექტები მოქმედებაში!

სოფლის მეურნეობაში განხორციელებული პროექტები

სოფლის მეურნეობის განვითარებაში არსებული პოლიტიკა დარგის მაქსიმალურად მცირე დროში განვითარებისკენაა მიმართული. ხელისუფლება სისტემატურად ანხორციელებს ისეთი ტიპის ცვლილებებს, რომლებმაც გლეხებსა და ფერმერებს, სოფლის მეურნეობის დარგში ჩართულ მეწარმეებს, მეტი სტიმული უნდა მისცეს.

ამ მიზნით ხობის მუნიციპალიტეტში განხორციელდა შემდეგი პროექტები.

1. **მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტი,** რომლის ფარგლებში 12440 ბენეფიციარმა მიიღო დახმარება სასოფლო-სამეურნეო ბარათების სახით. აქედან მცირემიწიანმა ფერმერებმა უსასყიდლოდ მიიღეს სასუქი, პესტიციდი, სათესლე მასალა, ვეტ-პრეპარატები, ხოლო კომბინირებული ბარათებით 2014 წელს დამუშავდა 7528.6 ჰა მიწის ნაკვეთი, ხოლო 2015 წელს 12024 ბენეფიციარი მიიღებს მონაწილეობას აღნიშნულ პროექტში, ბარათებით მოიხვნა 6498 ჰა მიწის ნაკვეთი, ხოლო ნაწილი ბენეფიციარებისა მიიღებს აგრობარათებს.

2. **„შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტი“** პროექტის ფარგლებში მე-2 კომპონენტით 37 ბენეფიციარზე გაცემულია 425 ათასი ლარი, ხოლო მე-3 კომპონენტით ერთ ბენეფიციარზე 22000 ლარი; ასევე „გადამამუშავებელი საწარმოების“ პროექტის ფარგლებში 1 მილიონი დოლარით დაფინანსდა საკვები ზეთის მწარმოებელი საწარმო და მის ბაზაზე საქონლის კომბინირებული საკვების საწარმო, რომელიც ამ ეტაპზე მშენებლობის პროცესშია.

3. **მასშტაბური სამუშაოები ჩატარდა მელიორაციის კუთხით** კერძოდ, ხობი-უტორის მასივზე (თორსა, ხამისკური) მაგისტრალური წყალგამყვანი არხის, პირველი და სხვა რიგის წყალშემკრები კოლექტორების შიდა სამეურნეო არხების და ქსელების რეაბილიტაცია. (დაშრობილი ფართობი 975 ჰა, სამუშაოს ბიუჯეტი 1.060 610 ლარი)

4. **ასევე, რიონი-ხობის მდინარეთა შორის მასივზე ჭალადიდის დამშრობი სისტემის მაგისტრალური წყალგამყვანი არხის**, პირველი და სხვა რიგის წყალშეკრები კოლექტორების შიდასამეურნეო არხების, არსებული №1 და №2 სატუმბი სადგურების რეაბილიტაცია. (დასაშრობი ფართობი 2830 ჰა, მათ შორის 2014 წელს დაშრობილი 800 ჰ ა, სამუშაოს ბიუჯეტი - 7 000 000 ლარი, 2014 წელს ათვისებულია 2 000 000 ლარი, ხოლო დანარჩენი 5 მილიონი 2015 წელს იქნება ათვისებული, დაშრობილ იქნება 2030 ჰა ფართობი).

5. **ევროკავშირთან თანამშრომლობით დამუშავდა და 2013 წელს დაიწყო ევროპის სამეზობლო პროგრამა** სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარებისათვის (ENPARD) რომელიც საქართველოში სურსათის წარმოების ზრდასა და სოფლად სიღარიბის შემცირებას ისახავს მიზნად. ამ პროექტის ფარგლებში 2014 წელს დაფინანსდა კოოპერატივი „შამათია“ 46 ათასი ლარით, რომელიც სასათბურე პირობებში მარწყვს აწარმოებს, ასევე 2015 წელს დაფინანსდა კოოპერატივები „მანდარინები“ და „წყარო“, რომლებიც განავითარებენ ციტრუსის წარმოებასა და ჰიბრიდული ჯიშის სიმინდის წვეთოვანი რწყვის სისტემით მოყვანას.

6. **შეიქმნა „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო“** რომლმაც ხელი უნდა შეუწყოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ჩამოყალიბებას. ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შექმნილია 9 კოოპერატივი, სასოფლო-სამერნეო სტატუსით, მათ, სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში შეღავათიან ფასში მიიღეს მოტობლოკები და ხელით სათესი აგრეგატები.

7. **ხობის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებულია** 12000 ლარი მსხილფეხა რქოსანი პირუტყვის ჯიშთა განახლების უზრუნველსაყოფად. (ხელოვნური განაყოფიერება) პროექტის ფარგლებში შეძენილ იქნა საჭირო ინვენტარი და გაყინული სპერმები. პროექტი ამჟამად ფუნქციონირების პროცესშია და ნებისმიერ მსურველს შეუძლია მიმართოს ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის პროფესიული სწავლების ცენტრს“, რომელიც უზრუნველყოფს მომსახურებას თანადაფინანსების პრინციპით. ბენეფიციარს მომსახურების 140 ლარიდან გადასახდელი ექნება მხოლოდ 20 ლარი, ყველა დანარჩენი ხარჯი დაფინანსდება ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებიდან.

8. **2015 წლის 15 მარტიდან საქართველოს რეგიონებში „აწარმოე საქართველოში“ პროგრამის ფარგლებში** დაწყებულია მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროექტის განხორციელება, რომელიც ადგილობრივ მოსახლეობას ხელს უწყობს საკუთარი საქმის წამოწყებაში და დადებით გავლენას ახდენს მუნიციპალიტეტის განვითარებაზე.

აღსანიშნავია, რომ მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამა ხორციელდება საქართველოს პრემიერ მინისტრის ი. ღარიბაშვილის მიერ ინიცირებული სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში” ფარგლებში და მიზნად ისახავს საქართველოს რეგიონებში მიკრო და მცირე ბიზნესის განვითარებას მეწარმეების დაფინანსებისა და ცოდნის ამაღლების გზით. პროგრამის ფარგლებში საქართველოს მაშტაბით დაინტერესებულ პირებს შესაძლებლობა ეძლევათ მოიპოვონ თანადაფინანსება იდეის განსახორციელებლად (5,000 ლარამდე ერთი მეწარმე, 10,000 ლარამდე ორი მეწარმე, 15,000 ლარამდე სამი მეწარმე).

მუნიციპალიტეტის მოსახლეობას პროექტში მონაწილეობის მიზნით კონსულტაციებისათვის შეუძლია მიმართოს გამგეობის სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურს, სადაც სამსახურის მოხელეები დაეხმარებიან განაცხადის ფორმების შევსებაში.

განაცხადების მიღება დასრულდება 2015 წლის 15 აგვისტოს.

ბესიკ ნაჭყებია,
გამგეობის სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსი

სპეციალისტები გვირჩევენ

ფრთხილად, ზაფხულია!

ზაფხულობით მთელი რიგი დაავადებები იჩენს ხოლმე თავს. ამიტომ საჭიროა, ადამიანმა ზუსტად იცოდეს, რა სიპტომები ახასიათებს თითოეულ დაავადებას და საჭირო შემთხვევაში რა იღონოს, რომ სავალალო შედეგს დააღწიოს თავი, ამ თემასთან დაკავშირებით გვესაუბრება მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორის მოადგილე ექიმი-პროფილაქტიკოსი ჯუმბერ ტურავა.

ბატონო ჯუმბერ! რა დაავადებაა ჯილეხი და როდის იზრდება მისით ადამიანის დასნებოვნების საფრთხე?

–ჯილეხი (ციმბირული წყლული) სერიოზული დაავადებაა, რომელსაც ბაქტერია იწვევს და სპორებს წარმოქმნის. სპორა მოსვენებულ მდგომარეობაში მყოფი უჯრედია, რომელიც სათანადო გარემოს პირობებში მოხვედრისთანავე შეიძლება გამოცოცხლდეს. სპორები გამოირჩევიან მაღალი გამძლეობით, ათწლეულების განმავლობაში ძლებენ ნიადაგში. ჯილეხით გარდაცვლილი ცხოველის გვამი მიწის სიღრმეში ორ მეტრზე უფრო ღრმად უნდა დაიმარხოს, სამარხი უფრო იზრდება ზაფხულში განსაკუთრებით ივლისსა და აგვისტოს თვეებში.

ეს დაავადება ადამიანიდან ადამიანზე არ გადადის?

–ჯილეხი არ ვრცელდება ადამიანიდან ადამიანზე. ადამიანები ჯილეხით შეიძლება დაავადნენ ინფიცირებული ცხოველების დამუშავებისას, ან დასნებოვნებული ცხოველთა პროდუქტებისაგან (ხორცი, ხორცის პროდუქტები, მატყლი, ტყავი) ჯილეხის სპორების შესუნთქვისას, ადამიანები შეიძლება დაავადნენ ჯილეხის გასტროენტერისტინური ფორმით, როდესაც საკვებად მიიღებენ ჯილეხით დასნებოვნებული ცხოველის თერმულად ცუდად დამუშავებულ ხორცს, არსებობს ჯილეხის კანის ფორმაც, რომელიც ადამიანს გადაეცემა დაავადებულ ცხოველთან პირდაპირი კონტაქტით და მწერების ნაკბენით.

წელს, ჩენი მუნიციპალიტეტის სოფლებში ხომ არ დაფიქსირებულა, ჯილეხით დაავადების შემთხვევა?

–მიმდინარე 2015 წელს ასევე 2014 წელს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჯილეხით ადამიანთა დაავადების შემთხვევას ადგილი არ ჰქონია. წინა წლებში 2011 წელს სოფელ ქვემო ქვალონში ადგილი ჰქონდა 7 შემთხვევას, 2012 წელს 2 შემთხვევას, 2013 წელს ჭალადიდში 2 შემთხვევას. რაც არ გვაძლევს თვითდამშვიდების უფლებას. ჯილეხი მიეკუთვნება განსაკუთრებით საშიში ინფექციების კატეგორიას, მისი პროფილაქტიკისთვის აუცილებელია პრევენციული ღონისძიებების გატარება, რაზეც ქვემოთ მოგახსენებთ.

თუ ადამიანი ჯილეხით დაავადებულ ხორცს მიირთმევს რამდენ ხანში გამოვლინდება სიპტომები?

–ჯილეხით დასნებოვნებული ხორცის მიღებისას ადამიანს დაავადების სიმპტომები გამოუვლინდება 1–2 კვირის განმავლობაში. ჯილეხის სიმპტომები დაავადების ფორმის მიხედვით განსხვავებულია, კანის ფორმის პირველი სიმპტომია კანზე მცირე ზომის დაზიანების წარმოქმნა, რომელიც შემდგომ ბუშტუკებად გარდაიქმნება, ბუშტუკებისაგან წარმოიქმნება წყლული შავი ცენტრით, არცერთი მათგანი მტკივნეული არ არის.

როგორ ხდება ჯილეხის მკურნალობა?

–ჯილეხის ყველა ფორმის მკურნალობა ანტიბიოტიკებით ხდება. ადრეული ამოცნობა და მკურნალობა ძალიან მნიშვნელოვანია. ანტიბიოტიკებით მკურნალობა გრძელდება 60 დღე, მკურნალობის ეფექტურობა დამოკიდებულია ჯილეხის ფორმაზე და მკურნალობის დროულ დაწყებაზე.

სამწუხაროდ, ექიმები ხშირ შემთხვევაში ცდებიან ამ დაავადების დიაგნოზის დასმისას, რას იტყვით ამის შესახებ?

–ჩვენს ქვეყანაში ჯილეხის პროფილაქტიკას, მის დროულ ამოცნობას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. სისტემატურად ტარდება სამედიცინო პერსონალისთვის მაღალი დონის ტრენინგები ჯილეხის დიაგნოსტიკის, გამომწვევი მიზეზების, მკურნალობის პროფილაქტიკის შესახებ, რის გამოც დიაგნოზის დასმის შეცდომები მინიმუმამდეა შემცირებული.

როგორ ხდება და რა ღონისძიებები უნდა გატარდეს ჯილეხის პროფილაქტიკისთვის?

–ინფექციის პრევენციისათვის ტარდება რისკის ქვეშ მყოფი ცხოველების იმუნიზაცია და პროცენტულად დაბინძურებული ნივთების გავრცელების კონტროლი. საფრთხის მატარებელ საწარმოებში მომუშავე პერსონალს უტარდება საგანმანათლებლო საუბრები, ვინაიდან ჩვენს ქვეყანაში ყოველწლიურად სხვადასხვა რეგიონში, მათ შორის ჩვენს მუნიციპალიტეტში ადგილი აქვს ჯილეხით ადამიანთა დაავადების ერთეულ შემთხვევებს, საჭიროა ჩვენი მოსახლეობის ყურადღება გამახვილდეს იმაზე, რომ ნუ შეიძენენ ხორცს და ხორცის პროდუქტებს ვაჭრობისათვის ნებადაურთველ ადგილებში, კერძოდ ქუჩაში, ავტომაგისტრალებზე, კერძო პირებისაგან ხორცის და მისი პროდუქტების შეძენა შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ ლიცენზირებულ სასურსათო მაღაზიებში და ბაზრობებზე, რომლებშიც ვეტერინარული სამსახურების მიერ ყოველდღიური ლაბორატორიული შემოწმება ტარდება.

ადამიანებმა ჯილეხის დაავადების საეჭვო სიმპტომების გამოვლენის შემთხვევაში დაუყონებლივ უნდა მიმართონ ტერიტორიულ სამედიცინო დაწესებულებებს.

ესაუბრა ნაირა ბერაია

მეამოსათხოვარი

ხობის მუნიციპალიტეტს კიდევ ერთი ღვაწლმოსილი პიროვნება გამოაკლდა–ალექსანდრე ცხადაია.

ალექსანდრე ცხადაია იყო გამორჩეული პიროვნება საქართველოს ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა შორის. მიუხედავად ასაკისა, იგი მუდამ აქტიურად იყო ჩართული საზოგადოებრივ საქმიანობაში, ვეტერანთა ინტერესების დაცვის სფეროში. მეორე მსოფლიო ომის ვეტერანი, სიცოცხლის ბოლომდე ხელმძღვანელობდა საქართველოს ვეტერანთა ხობის რაიონულ საბჭოს. წლების განმავლობაში მუშაობდა შუა ქვალონის სკოლის დირექტორად, განათლების მუშაკთა სახლის დირექტორად.

უფალი ჰფარავდეს მის სულს სამუდამო სასუფეველში.

ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა და საკრებულო.

უკანასკნელი სიხარული

სულ ორი თვეღა გავიდა მას შემდეგ, რაც კიდევ ერთხელ და უკანასკნელად გაიხარა ბიძაჩვენის–ალექსანდრე (ალიოშა) ცხადაიას გულმა, მეორე მსოფლიო ომის 70-ე წლისთავს სამოცდამეათედ შეხვდა იმ სიხარულით, როგორც ოდესღაც გერმანელების ოთხწლიან ტყვეობაში გახარებული–თავის არმიელებს. იმ დღეს ხელახლა დაიბადა. ამიტომაც არავის გაჰკვირვებია მისი მოულოდნელი (ტკივილიანი ღიმილისმომგვრელი) „ანდერძი“ თავისი კეთილმყოფელი ადამიანებისთვის, ახალგაზრდებისადმი დანაბარები: რომ მოვკვდები, გამარჯვების დღის სიმღერით გამაცილეთო. 95 წელს გადაცილებული, ისევ სიცოცხლისთვის იბრძოდა, არაჩვეულებრივი მეხსიერებით, მხნეობით–სიკვდილის შიშს არ იმჩნევდა. ყველაფერი შეუსრულეს, 9 მაისს, ხელით მოატარეს თავისი საყვარელი ხობის ცენტრი, მხართმცოდნეობისა და საბრძოლო დიდების მუზეუმი, შინმოუსვლელთა სახლი, გულწრფელად და სიყვარულით მოექცნენ.

ბევრის მთხოვნელი არასოდეს ყოფილა, არც ღმერთისგან და არც კაცისგან. ყოველთვის და ყველგან კმაყოფილი იყო. არასოდეს არ გვახსოვს, ვინმეზე საყვედური ეთქვას, ვინმე აუგად მოეხსენიებინოს. ჩვენც ამას გვასწავლიდა. ბევრი ლაპარაკი არ უყვარდა, განსაკუთრებით ახალგაზრდობაში, სიჭარმაგეშიც, მერე გავიგეთ, რომ როგორც ტყვეობაში ნამყოფი, გაფრთხილებული იყო, არაფერი ელაპარაკა. დუმილი 90-იანი წლების მერე დაარღვია. მერე დავინახეთ მისი ნამდვილი ბუნება, მერე გავიგეთ მისი უმძიმესი საომარი თავგადასავალი.

მისი ამქვეყნიდან გაცილების დღე, კიდევ ერთი დასტური იყო იმ გულთბილი დამოკიდებულებისა, რომელიც მის მიმართ გამოიჩინეს ქვეყნის ხელმძღვანელობამ, ადგილობრივმა მთავრობამ, ყოფილმა კოლეგებმა, მეზობლებმა... ყველამ, ვინც მას იცნობდა. უღრმესი მადლობა თითოეულ ადამიანს, ვინც მას პატივი მიაგო, სითბო და სიყვარული გამოხატა. მადლობა მათ, მისი ოჯახის, ნათესავების და ჩვენი სახელით, ოთხი შვილიშვილი გააგრძელებს მის სახელს. იმედია, შეძლებენ ასახელონ მრავალჭირნახული ბაბუა. ნათელში იყოს ამ წესიერი და პატიოსანი (ასეთად ახასიათებენ მას სხვები) კაცის სული.

ზოია და ზაირა ცხადაიები.

ინდირა და ლიზი ზარანდიები

ჩვენო უცებ გაფრენილო გოგონებო, ინდირა და ლიზი... ძალიან, ძალიან ძნელია თქვენზე საუბარი ყველასთვის და ჩემთვისაც, მეუხერხულება, რომ ჩემს თვალწინ გაზრდილ ბავშვებზე, ჩვენი სკოლის რჩეულ მოსწავლეებზე მიწევს საუბარი წარსულ დროში. არადა, უმძიმესი ორმოცი დღე გავიდა იმ ტრაგიკული დღიდან. მოფერება უნდა თქვენს ლამაზ სულებს, კიდევ ერთხელ–გაზიარება უნდა იმ დიდ ტკივილს, რომელიც დაატყდა თქვენს ოჯახს, რომელსაც განიცდის მთელი საქართველო და, მათ შორის, განსაკუთრებით თქვენი მშობლიური ხობი, მინდა გავიხსენო მხოლოდ კარგი და ლამაზი. მე თქვენთვის მხოლოდ რამდენიმე გაკვეთილი ჩამიტარებია, მაგრამ არასოდეს დამავიწყდებით: გამორჩეული მიზანმიმართულებით, ნიჭიერებით, ბეჯითები, მუდამ გულში წიგნჩახუტებულები. ორივეს გიყვარდათ კითხვა, განათლებული გოგონები იყავით. სკოლა წარჩინებით დაამთავრეთ, ყველას გვახსოვს, ყველას გვეამაყებოდა, რომ წარმატებით ჩააბარეთ ეროვნული გამოცდები ისე, რომ არ დაგჭირვებიათ საგანგებო მომზადება, სკოლაში მიღებული ცოდნით, თქვენი შრომითა და გარჯით მოიპოვეთ გრანტი... ასეთივე წარმატებით დაამთავრეთ ორივემ უმაღლესი სასწავლებელი... სხვაგვარად არც შეიძლება ყოფილიყვნენ თქვენი დედ-მამის შვილები. ჩვენ გვახსოვს მამათქვენი, წარჩინებული მოსწავლე, შემდეგ ბრწყინვალე სპეციალისტი, თქვენი ძვირფასი დედიკო, სანაქებო მოსწავლე და შესანიშნავი ქიმიკოსი. 90-აინი წლების მძიმე ცხოვრების შედეგად მათ თაობას დღეს „დაკარგულ თაობას“ უწოდებენ, რადგან ასპარეზი მოუსპეს, გასაქანი შეუბოჭეს... მაგრამ ჩვენ ყველას გვახსოვს მათი გამორჩეულობა. თქვენ იყავით მათი და ყველა ჩვენგანის იმედი, სიხარული.

13 ივნისის საბედისწერო ღამემ არა მხოლოდ მათ წაართვა თქვენი თავი, არამედ ჩვენც დაგკარგეთ. თავზარი დაგვცა თქვენმა ტრაგედიამ, „ღები ზარანდიები“ ტკივილით დაივლის ყველას გულში.

ჩემო კარგებო, ჩემო, მართლაც, ადრე გაფრენილებო, მზეში და ნათელში გაბრწყინდებით ისე, როგორც აქ ანათებდით და ასხივებდით თქვენი სილამაზითა და სავსე სიცოცხლით. იმედს ვიტოვებთ, თქვენი ერთადერთი ძმა, ლუკა, თქვენსავით ბეჯითი და მიზანმიმართული იქნება, თქვენი სულის გასახარად კარგად ისწავლის, გულს არ გაიტეხს და დედ-მამას გაახარებს.

თქვენ ბევრი, ძალიან ბევრი ვინმე არასოდეს დაგივიწყებთ... რამდენი რამეა სათქმელი... რამდენიმე რამე დაგრჩათ განუხორციელებელი, სულიერად ძლიერ ახალგაზრდებს ძალიან უსამართლოდ მოგექცათ ცხოვრება თუ ბედისწერა. რა გითხრათ, ჩემო საყვარლებო, ჩემო ინდირა და ლიზი?

მზესა და ნათელში გაბრწყინდით... გეფერებით.

ზაირა ცხადაია

ნეტი ლემონჯავა

უკვე 2015-ის აგვისტოს 11-ია, უშენობის მეორე წელი შემოგვეპარა, ტკივილიანი და სევდიანი. ორი წელია შენი დანახვის სიხარულს, ჩვენს სახეებზე არ გამოუნათებია. მონატრებისა და ტკივილის ორი წელიწადი თავისი გზით მიდის...

„უკვე რამდენი, მართლაც რამდენი
ხანი გასულა,
გაუწყრეს ღმერთი დროს და საათებს,
ჩვენ შეგუება ბედთან არ გვინდა,
მაინც არ იცდის დრო დაწყევლილი,
არც დამცინავი კედლის საათი“...

გვენატრები ნუტი და გვაკლიხარ, ჩვენი სევდისა და ტკივილის უფლისწული ხარ. დარდი ხარ, დაუსრულებელი და უკურნებელი. ვცდილობთ ვიცხოვროთ წარსულით, სადაც შენ ჩვენთან ერთად ხარ, ის ხომ ასე ტკბილია... ჩვენთვის დაუვიწყარია შენი ღიმილი, სევდანარევი, წარუშლელი შენი თვალების სითბო, მაგრამ ნაღველშეპარული. გვენატრება შენი თბილი სიტყვები, შენი სიყვარულით სავსე ხმა, შენი ლამაზი თვალები. ძალიან გვიჭირს უშენობა! შენა ხარ ჩვენი ცხოვრების უდიდესი ტკივილი! არ არსებობს დრო შენზე ფიქრების გარეშე. გვენატრები და გვჭირდები!.. შენი დაკარგვით გაჩენილ უფსკრულს ვერავინ აგვივსებს. დრო არავის ელოდება, მიჰქრის სინათლის სისწრაფით. აი, აგვისტომ უშენობის მეორე წელი მოიტანა, გულში ნაღველი და დარდი ჩაგვიღვარა. ისევ, კიდევ, რამდენჯერ მოვა აგვისტო, ჩვენ კი მუდამ ისე გვეტკიები, როგორც მაშინ 2013-ის აგვისტოს და ახლაც. ჟამი ვერას დააკლებს ამ ტკივილს, გვეფანტება აზრები, მელანქოლია გაგვიჩინა აგვისტოს 11-მა, მაგრამ ჩვენი გულები შენ ვერასოდეს დაგივიწყებს, არც სიყვარული გაქრება, არ გაიფანტება, ისევე როგორც არ შეიძლება გაქრეს აგვისტო წელიწადის თვეებს შორის!..

ჩვენ შენ გვიყვარხარ.

თანაკლასელების სახელით
მონიკა ბახტაძე.

ხსოვნა

რევაზ ბუკია

მალე ერთი წელიწადი სრულდება, რაც დაგვტოვა შენმა ლამაზმა სულმა და მარადიულ სასუფეველში გადაინაცვლა, სადაც მართალთა სულები განისვენებენ.

წახვედი ჩვენგან და ჩვენი დედის, ოჯახის,ნათესავების, მეზობლებისა და მეგობრების უზარმაზარი სიყვარული გაიყოლე.

შენ ბედის ნებიერა არასოდეს ყოფილხარ, თუმცა ბევრი ნიშან-თვისებებით ბავშვობიდანვე გამორჩეული იყავი. უპირველესად სპორტული მონაცემებით, განსაკუთრებით კი ფეხბურთის სიყვარულითა და მაშინ ყველა სოფლის ყველა თაობას თავისი პელე ჰყავდა (ახლა სხვა კუმირებია). შენი სოფლის შენი თაობის პელე შენ იყავი. ეს მიტუშა არახამიამ შეგარქვა, ასაკით შენზე ბევრად უფროსმა და თვითონაც უზადო ფეხბურთელმა.

–ასეთი უპატიოსნესი ბიჭი იშვიათად შემხვედრია, გიგონებდა თავისი ერთადერთი ვაჟის, ფიზიკურად და გონებრივად უმშვენიერესი ვაჟკაცის, მამუკას პანაშვიდზე წარსულში თვითონაც შესანიშნავი სპორტსმენი, ახალგაზრდობაში სოფლის ფეხბურთელთა გუნდის მოხალისე მწვრთნელი, ბევრის მნახველი და უდაოდ ნიჭიერი კაცი ჯემალი კვიკვინია.

სწორედ შენი პატიოსნება გახდა მსუბუქი იუმორის საფუძველი, რასაც სევდანარევი ღიმილით ყვება ქალბატონი ნუნუ გურგენიძე-ვალტერი გვასალიას მეუღლე. მრავალი ათეული წელი სოფლის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, უნიჭიერესი და უკეთილშობილესი პიროვნება. საქმე მისი შვილის, სვეტლანას ქორწილს ეხებოდა, სადაც თავკაცი შენ იყავი და ქორწილის მეორე დღეს „ანგარიშის ჩასაბარებლად“ მისულს, თურმე სამი მანეთი ვერ გეპოვა და წუხდი. მე ვიპოვიო ეთქვა ვალტერის (ღმერთმა გაანათლოს მისი სული) გამოერთმია „ანგარიშების რვეული“ და ცეცხლში შეეგდო, ანგარიშის ჩაბარება რა საჭიროა, შენდამი უდიდესი ნდობა, რომ არ მქონოდა ამხელა ქორწილის თავკაცად, როგორ დაგნიშავდიო.

ცხოვრების ასარეზზე გამოსულ ახალგაზრდა კაცს. თავისი ნიჭისა და შესაძლებლობების რეალიზებისათვის შესაფერისი სამსახური სჭირდება. რისი მოძიება ხშირ შემთხვევაში რთულია. თავის დროზე სრულიად ახალგაზრდას ასეთი დახმარება გაგიწია შენივე თანასოფლელმა, ბანკის იმდროინდელმა მმართველმა, სიკეთითა და კაცური კაცობით თითქმის მთელ საქართველოში ცნობილმა პიროვნებამ ბ-ნ პატიკო კვიკვინიამ, რომლის მადლიერი მთელი სიცოცხლის განმავლობაში იყავი.

ცხოვრება ხშირად მკაცრ გამოცდას გვიწყობს, სწორედ მისი ჩაბარება განსაზღვრავს ადამიანის ავტორიტეტს და ადგილს საზოგადოებაში. შენ ორჯერ მოგიხდა ასეთი გამოცდის ჩაბარება. პირველად მაშინ, როდესაც რაიონის კულტურის სახლის მშენებლობაზე რაიონის მაშინდელი ხელმძღვანელის ბატონ ნუგზარ ნადარაიას უშუალო ხელმძღვანელობით მოგიწია მუშაობამ. პატიოსნება, შრომისმოყვარეობა, მიხვედრილობა და საქმისადმი თავდადება გახლდათ ადამიანებთან მისი ურთიერთობის საზომი. შენ რომ სრულიად ახალგაზრდამ ეს გამოცდა წარმატებით ჩააბარე, ამაზე ორი ფაქტი მეტყველებს. პირველი, ბატონმა ნუგზარმა სიყვარულით რეზო შეგარქვა და მერე სულ ასე გეძახდა. მეორე, სწორედ შენ რიგით ინჟინერს განდო მან მთელ მსოფლიოში ცნობილ მოქანდაკესთან ბატონ ზურაბ წერეთელთან საქმიანი ურთიერთობა, რომელიც რაიონისთვის უმნიშვნელოვანეს სკულპტურულ ქანდაკებაზე მუშაობდა, რაც დღესაც ასე ამშვენებს ჩვენს ქალაქს. შენ წარმატებით გაართვი თავი ამ ამოცანას და მისი უცილობელი დასტური ჩვენი დედისათვის ღვაწლმოსილ პედაგოგ ქალბატონ არეთასათვის პატიოსანი და შრომისმოყვარე შვილის აღზრდისთვის ბატონ ნუგზარის მიერ საჯაროდ გადახდილი მადლობა იყო.

მეორე მკაცრი გამოცდის ჩაბარება მაშინ მოგიწია, როცა შენი ქალიშვილი ნათია უაღრესად განათლებული და კეთილშობილი პროფესორების ბ-ნ ალექსანდრეს და ქ-ნ ნანული ხურციძეების რძალი გახდა. მათთან ურთიერთობისას რამე ხომ არ შეეშალა ნეტავი? ვიკითხე მე, არ შეეშლებოდა, მიპასუხა ჩვენმა ბიძაშვილმა, რაიონში ცნობილმა და დაფასებულმა პიროვნებამ ჩემმა სეხნიამ ზურაბი ბუკიამ და თავისი მოსაზრება ასე დაასაბუთა: ბატონი ალექსანდრე მეცნიერების დოქტორი და დამსახურებული პროფესორი იყო,ხოლო რევაზი თავისი ოჯახისა და ადამიანებთან ურთიერთობის არაოფიციალური პროფესორი გახლავთ, სწორედ ამიტომ არ შეეშლებოდაო, რაც თქვენი ოჯახების ურთიერთობიდან გამომდინარე სრული ჭეშმარიტებაა.

ნათიამ გამიმართლა და ახლა ორი ვაჟიშვილი ყავსო, ამბობდი ხშირად. გეამაყებოდა, რომ ალეკო თავისი დიდი წინაპრების-თავადების ყველა ღირსეული თვისებების მატარებელი, ჭკვიანი, განათლებული და ოჯახისმოყვარე ახალგაზრდა აღმოჩნდა. ალბათ, შენს სულს უზომოდ უხარია რომ ძმასავით გვერდით ამოუდგა თენგიზს და იმდენი გააკეთა, რაც მხოლოდ მისებრ გამორჩეულ ახალგაზრდებს ძალუძთ.

შენი სულის სიალალე და კაცური კაცობა ყველაზე უფრო ნათლად მეუღლის ძმისშვილ ილონასთან მიმართებაში გამოჩნდა, როცა სახლში ახალდაბადებული, დედით ობოლი ბავშვი შემოიყვანე და სანამ სტუდენტი არ გახდა მანამ მამამისთან არ გაუშვი, როგორ ხარობდი მისი ნიჭითა და კარგი ბედით.

სოფლის პირობებში ადამიანის კაცობის მაჩვენებელი მისი სახლ-კარი და ეზო-გარემოა, ხოლო ცხოვრების გვირგვინს ოჯახი წარმოადგენს. იმ გაუსაძლის წლებში, როცა ადამიანები შიმშილს მეზობელ ქვეყნებში გაურბოდნენ, შენ შენი ოჯახიდან ფეხი არ მოგიცვლია. მეტიც, შენი ეზო-გარემო შემოსავლიან წალკოტად აქციე და შენი მეუღლის ქ-ნ გულნარას თანადგომით სახლიც ააშენე და ორივე შვილს უმაღლესი განათლება მიაღებინე. მერე შვილიშვილები ლუკა და ნიკუშა გიხალისებდა სიცოცხლეს და ერთადერთი ვაჟის თენგიზის ქორწილისთვის ემზადებოდი, მაგრამ უეცრად „არსაიდან” მოსულმა სიკვდილმა ბედნიერ რეალობასა და ლამაზ ოცნებებს წერტილი დაუსვა და სამუდამო განსასვენებელში დაგიდო ბინა.

შენმა უეცარმა სიკვდილმა ამ წუთისოფლის სიმუხთლეზე ძალიან ბევრი მწარედ დააფიქრა. თუ ჩემი სანათესაო და თაობა წავა, მე აქ რა ჯანდაბა დამრჩენიაო, აღმოხდა გელა ბუკიას, ჩვენს ბიძაშვილს, ჩვენი და საერთოდ ყველას ჭირისა და ლხინის უპირველეს გამზიარებელს.

ერთი წელიწადი იწურება, რაც მარადისობაში შენს გადასვლას მწარედ განიცდიან შენი უფროსი ძმა თამაზი და მისი შვილები გალაქტიონი და გიორგი, რძალი ლიანა და ღვიძლ ძმასავით ახლობელი ცოლისძმა ლევანი კრავჩენკო, ძალიან დიდი სითბოთი და მონატრებული სიყვარულით გიგონებენ ნათესავები და მეზობლები, მეგობრები და უბრალოდ ნაცნობები. ყოველდღიურად ინთება წმიდა სანთელი და იკითხება ფსალმუნები შენი ლამაზი სულის საოხად, დედაშენისა და შენი ოჯახის მიერ.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი ალალი სული.

ძმა ზურაბი ბუკია

ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა აცხადებს აუქციონს

დანართი №1

№	ქონების დასახელება	ზომის ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი	საერთო ღირებულება	„ბე" 10%	„ბიჯი" 10%	ბილეთის ფასი
	წყლის მრიცხველი 7 ცალი							
1	ლატუნი	კგ	2	5	10	1	1	20
2	სპილენძი	კგ	1,5	10	15	1.5	1.5	20
3	შავი ლითონი	კგ	145	0,25	37	3.70	3.70	20
4	ლითონის ჯართი	ტ	1.0	200	200	20	20	20
1	იატაკის ფიცარი	მ3	5	150	750	75	75	20
2	საშეშე მასალა	მ3	25	35	875	87.5	87.5	20
3	შავი ლითონის ჯართი	ტ	4	220	880	88	88	20
4	ფურცლოვანი თუნუქის ჯართი	ტ	2.2	180	396	39.6	39.6	20
5	წისქვილი ბარათაშვილის ქუჩაზე	ერთეული	1	18.4	18.4	1.84	1.84	20

დანართი 2

ფართის სარგებლობის უფლებით გადაცემაზე

№	შენობის დასახელება	მისამართი	სართული	გასაიჯარებელი ფართი კვ.მ	ერთი კვ.მ ფართის საბალანსო ღირებულება	გასხვისების ვადა, წელი	იჯარის ქირის განაკვეთი %	საიჯარო ქირა 1 კვ.მ წელიწადში	„ბე" 10 %	ბიჯი 10 %	ბილეთის ფასი
1	ადმინისტრაციული შენობა	ც. დადიანის ქუჩა №188	პირველი სართული	18.98	68,74	5	30	20.62	39.14	39.14	20

დანართი 3

№	ქონების დასახელება	სარეგისტრაციო ნომერი	გამოშვების წელი	ფერი	ტიპი	გასაყიდი ფასი	„ბე" 10%	„ბიჯი" 10%	ბილეთის ფასი
1	ა/მანქანა „ფორდ-მონდეო 1,8"	NAA-876	1994	ლურჯი	ჰეტჩბეკი	600	60	60	20
2	ა/მანქანა „რენო-მეგანი"	MCM-514	1997	ლურჯი	-	800	80	80	20
3	მიკროავტობუსი „ფორდ-ტრანზიტ ბუსი"	AIO-18-13	1991	თეთრი	-	500	50	50	20

განცხადების მიღების ადგილია ქ. ხობი ც. დადიანის ქუჩა №189, ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა, ეკონომიკური განვითარებისა და პროგრამების მართვის სამსახური.

განცხადების მიღების ვადაა გაზეთში ინფორმაციის გამოქვეყნებიდან აუქციონის ჩატარების დღემდე 10-00 საათიდან 18-00 საათამდე (შაბათ-კვირის გარდა), ხოლო აუქციონის ჩატარების დღეს 10-00 საათიდან 14-00 საათამდე.

აუქციონის ჩატარების თარიღია 2015 წლის 31 აგვისტო, 15-00 სთ.

საბანკო რეკვიზიტები: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო–707017021, მიმღები ბანკი–სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი–TRESGE22.

აუქციონის ფორმით ქონების პრივატიზებისას გამყიდველის და მყიდველის მიერ ხელმოწერილ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი არის წერილობითი ხელშეკრულება, გამარჯვებული პირის მიერ აუქციონში გამარჯვებისას დამადასტურებელ ოქმზე ხელის მოწერაზე უარის თქმა ართმევს მას გამარჯვებულის სტატუსს.

აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია აუქციონის ჩატარებიდან საქართველოს კანონით განსაზღვრულ ვადაში გამგეობასთან გააფორმოს ხელშეკრულება, აგრეთვე აუქციონის შედეგების ოქმის დამტკიცების მომენტიდან 30 დღის განმავლობაში დაფაროს მის მიერ აუქციონზე დასახელებული საბოლოო თანხა, წინაამღდეგ შემთხვევაში მყიდველს არ მიეცემა საკუთრების უფლება და „ბე"- ს შენატანი არ დაუბრუნდება, აუქციონის შედეგები გაუქმდება.

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრატორს უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი (მიიღებთ გამგეობაში);

ბ)„ბე"-ს და მონაწილის ბილეთის ფასის შენატანის დამადასტურებელი საბანკო ქვითარი;

გ) პირადობის მოწმობის ასლი:

დ) იურიდიული პირები დამატებით წარმოადგენენ ნოტარიალურად დამოწმებულ სადამფუძნებლო დოკუმენტის ასლს;

ე) ნოტარიალურად დამოწმებული მინდობილობა, თუ მყიდველი მოქმედებს სხვა პირის სახელით.

სააუქციონო კომისიის ზონარგაყრილ დავთარში განაცხადის რეგისტრაციის მომენტიდან განმცხადებელი იძენს აუქციონში მონაწილის სტატუსს. აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია საწყის გასაყიდ ფასზე ბიჯის დანამატის შედეგად მაქსიმალური ფასის გადახდა.

ქონების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და პროგრამების მართვის სამსახურში. საკონტაქტო პირი-ლამზირა თოდუა -ტელ-599-85-60-91.

ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა

გვწერენ

სამადლობელი

ზაფხულის ცხელ დღეებში, როცა სუნთქვაც კი ჭირს, სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს მოსახლეობისთვის სასმელი წყლის მიწოდების უზრუნველყოფას. განსაკუთრებით იმ სოფლებისთვის, რომლებიც სასმელი წყლის ნაკლებობას განიცდიან. ასეთ სოფელთა რიცხვს მიეკუთვნება სოფელი ბია. სოფლის გარკვეულ ნაწილს, წყალი უწყვეტ რეჟიმში, რამდენიმე წელია მიეწოდებოდა, ნაწილს კი იგი ბოლო წლებში აღუდგა.

ჩვენ ბიის (ცენტრის უბნის) მაცხოვრებლები, უზრუნელყოფილნი ვართ წყლის მიწოდებით, ოცდაოთხსაათიან რეჟიმში. გარდა იმისა, რომ წყალს ვღებულობთ უწყვეტად, იგი ამავე დროს არის ხარისხიანი, ხშირად ხდება მისი ანალიზის აღება, ცენტრალური ავზის დამუშავება საჭირო მასალებით. ხოლო ძველი ცენტრალური მილების დაზიანებისას, იგი შეტყობინებისთანავე, დროულად კეთდება.

გვინდა მადლობა გადავუხადოთ, შ.პ.ს. „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის" ხობის სერვისცენტრის მენეჯერს, ბატონ ხვიჩა კაკაბაძეს, ჩვენს მიმართ გამოჩენილი ყურადღებისთვის, ასევე მადლობას ვუხდით ბატონ გოგი ჯორჯიკიას, რომელიც გათიშვის, გასუფთავებისა და სხვა მოსალოდნელი ხარვეზების შესახებ გვაწვდის დროულ ინფორმაციას.

ინგა ალექსანდრია, გულნაზ ღადუა, ნონა გელაშვილი.

„ლურჯი იები და მონატრება"

(ჩანახატი)

სიო ქრის და ახლად გაკვირტულ რტოებს ეთამაშება. განსაკუთრებული სილამაზით ჰყვავის პატარა ბაღი, ხეებს სიმწვანე თანდათან ეძალება, კეკლუცობენ და თავს იწონებენ ყვითელგულა ყვავილები, საამაყო და დამატკბობელი სურნელია ირგვლივ.

ბაღის ახლოს უცნობი ქალი იებს ჰყიდის, თვალჟუჟუნა იებს.

ამბობენ, იები უდიდეს სიხარულს ანიჭებს ადამიანებს, განსაკუთრებით შეყვარებულთა კეთილი მეგობარიაო. ამიტომაა, ალბათ, ასე ხშირად რომ ყიდულობენ თვალხატულა ქალიშვილები და ჭაბუკები და მათ თვალებში უდიდესი სიხარული და ბედნიერება ციმციმებს...

...ბაღის განაპირა კუთხეში, განმარტოებით მდგარ სკამზე ერთი ახალგაზრდა ვაჟი ზის. მოწყენილია, თვალებში სევდა ჩადგომია, სახეზე ნაღვლიანი ღიმილი უკრთის, სივრცეს გაცქერის და ცისფერთვალება გოგონას სიყვარული ახსენდება, ბედნიერი წარსული დაფარფატებს მის გონებაში და ნაღვლიანი, გულდაწყვეტილი მზერა. ყველაფერი კი სულ უბრალოდ მოხდა–მათ სიყვარულში სხვები ჩაერივნენ და გზებიც გაიყარა.

–იქნებ დამიბრუნდეს!.. ამის გაფიქრებაზე ვაჟს თაფლისფერ თვალებში იმედის სხივი ჩაუდგა, სახეზე სიხარულის ღიმილი აუთამაშდა. მისმა სიმარტოვემ დიდხანს გასტანა, ბოლოს ადგა და ჩაფიქრებული გაუდგა გზას...

დღე დღეს მისდევდა, თვეთვეს, მაგრამ ვაჟი ამოჩემებულ ადგილს მაინც არ თმობდა, ჩაფიქრებული დიდხანს იჯდა და მერე მიდიოდა. თაფლისფერ თვალებში კი კვლავ უკრთოდა ცისფერთვალება გოგონას დაბრუნების იმედი.

იმ დღესაც ჩაფიქრებული იჯდა ნარჩევ ადგილას, როცა ფიქრისგან დაღლილი წამოდგა, დაინახა, რომ მისკენ ლურჯი იებით ხელში, გოგონა მორბოდა...

მიუახლოვდა და შეკრთა... უდიდესმა სიხარულმა დაამუნჯა... სხვა რომ ვერაფერი მოახერხა ისიც ხელგაშლილი გაიქცა მისკენ...

მათ ცრემლით დანამულ თვალებში სიხარულის, სიყვარულისა და უდიდესი მონატრების სხივი კრთოდა...

ნაირა ბერაია.

დამფუძნებელი: ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო.

გამომცემელი შპს „ხობის მოამბე"

სარედაქციო კოლეგია:
თავმჯდომარე შ.პ.ს. „ხობის მოამბეს" დირექტორი–მერი ლაგვილავა,
თავმჯდომარის მოადგილე, დირექტორის მოადგილე–ნანი კილასონია.
რედაქტორი–მანანა შულაია.
ჟურნალისტები–ნინო გერგაია, ნაირა ბერაია.
კომპიუტერული უზრუნველყოფა–ჯულიეტა ლატარია.

გაზეთი აეწყო და დაკაბადონდა შპს „ხობის მოამბეში."

მის: ხობი, წმინდა ნინოს ქუჩა №1 ტელ: 0 (414) 22-21-13; 22-25-81; 599-50-40-57. ელ. ფოსტა: xobismoambe@mail.ru

დაიბეჭდა შ.პ.ს. გამომცემლობა „კოლორში". თბილისი, რკინიგზის ჩიხი №20.

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. გაზეთში დაბეჭდილ მასალის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.